უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი და კანონმდებლობა

№5 სექტემბერი 2013

www.b-k.ge
info@iverioni.com.ge

ISSN 1987 - 6041
9 771987 604000

ბიზნესი და კანონმდებლობა

№5 სექტემბერი 2013

სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი

რეფერირებადია 2008 წლიდან

WWW.B-K.GE

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 36

ტელ: 292-14-61, 599 56-14-57, 599 34-64-27

ვებ გვერდი: www.b-k.ge

e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა/ა GE30BG0000000850902700; ს/კ 404956455.

მამომცემლები:

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია, საინფორმაციო-ანალიტიკური საამენტო „ივერიონი“

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაურ ნაჭყებია

მთავარი რედაქტორი:

იური პაპასქუა, ეკონომიკურ მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

სამეცნიერო რედაქტორი:

ნიკოლოზ ბაკაშვილი, ეკონომიკურ მეცნ. დოქტორი, პროფესორი

რედაქტორი:

ეკა ჯიმშელიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილონა ადამია

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოქოლიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

იაშა მესხია, ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, პაატა ტოლუაშვილი, ნოდარ ხადური, ლამარა ქოქიაური, ნატო ყაყაშვილი, ნანა შონია, დავით ჯაღაღონია, თემურ ხომერიკი, ტოტე აბულაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, თამაზ აქუბარდია, ლარისა თაყაიანიძე, ბიოლარი ლავთაძე, ლია ლიავა, დავით ჭიოტაშვილი, სალიტო ფუტკარაძე, დემნა ყვარაყელია, ბიოლარი ჭილაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ სილაბაძე.

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

ჯემალ გახოკიძე.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბესარიონ ნაჭყებია,

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მამუკა თავხელიძე.

ბერნარდ ზიბლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

პლი პლერზევი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

კონსულტანტები:

თამაზ იაშვილი, ანზორ მესხიშვილი, ირინე ღლონტი

შინაარსი

ფინანსური ანალიზი
ანა ჩეჩელაშვილი, ანჟელი ხორავა
ფინანსური ანალიზის როლი საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების ძირითადი მიმართულებების შემუშავებაში 3

მეცნიერება
ეკა გრიგალაშვილი
მოქმედი გადასახადები და საგადასახადო ტვირთის პრობლემა საქართველოში 7

მეცნიერება
ნანა შონია
ბიზნეს იდეის დაფინანსების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში 12

საბაზრო მეტასტაზები
თამაზ აქუბარდია
მევახშეთა ზეობა, ანუ, რატომ არის ჩვენთან ჯერ კიდევ ველური კაპიტალიზმი 17

აგრარული სექტორი
ნანა შონია
აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში 20

თვითმმართველობები
ბორის ჭიჭინაძე
თვითმმართველობების წარმოშობის და განვითარების ასპექტები 24

რეგიონები
ნიკო ჩიხლაძე, კახა გაბელაშვილი, თეა ვალიშვილი
ქალაქის ბრენდინგი - განვითარების ეფექტური იარაღი 29

სულიერება და ბაზარი
თამაზ აქუბარდია
ადამიანის ღირსება და საბაზრო სისტემა 34

მეცნიერება
ასმათ შამუგია
მოტივაციის მნიშვნელობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საკადრო პოლიტიკაში 36

ტურიზმი
კობა ბიწაძე
ტურინეტი - ახალი შესაძლებლობები ტურიზმის სფეროში 39

არჩევნები
იზა ბარდაველიძე
როგორ იკერება საქართველოში საარჩევნო „ბიბლია“? 40

ფინანსური ანალიზის როლი საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების ძირითადი მიმართულებების შემუშავებაში

ნებისმიერი საწარმოს საქმიანობის პროცესში შეიძლება წარმოიქმნას სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით განპირობებული პრობლემები, რომლებიც საწარმოს ფუნქციონირების პროცესის უთანაბრობაში, წარმოებისა და გასაღების პროცესების მერყეობაში და კრიზისული სიტუაციების წარმოქმნაში ვლინდება.

მუდმივად ცვალებადი მაკროსამყაროს პირობებში, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კრიზისული სიტუაციების, მისი გამომწვევი მიზეზების და ამ მიზეზების დაძლევის შესაძლებლობათა გამოკვლევა. კრიზისი პროცესია, რომლის შედეგები დროსა და სივრცეში ვრცელდება. იგი იწყება შეფერხებებით საწარმოს საქმიანობაში, შემდეგ იღებს არსებითი კრიზისის სახეს, ვრცელდება მთელ საწარმოში და ბოლოს საჭირო ხდება მისი დაძლევა.

საწარმოს კონკურენტუნარიანი მდგომარეობის შენარჩუნება და გაძლიერება, ანტიკრიზისული მართვითაა შესაძლებელი, რომლის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას საწარმოს ფინანსური საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი წარმოადგენს.

მომგებიანი საწარმო შეიძლება გარკვეულ პერიოდში ზარალიანი გახდეს. ეს მოკლევადიანი, ეპიზოდური სიტუაციაა, რომელიც არსებითად არ ცვლის წარმოდგენას საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თუ საწარმო არაეფექტურია მთლიანად და ეკონომიკური კრიზისი ხანგრძლივ ხასიათს იღებს, მაშინ შეიძლება საჭირო გახდეს საწარმოს ლიკვიდაცია და, ქონების გაყიდვა კრედიტორთა წინაშე დავალიანებების დასაფარავად.

კრიზისული სიტუაცია შეიძლება წარმოიქმნას საწარმოს სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ სტადიაზე. კრიზისის გამოვლენა შეიძლება სხვადასხვა სახით: **სტრატეგიის კრიზისი, ფინანსური კრიზისი, ლიკვიდურობის კრიზისი.** მისი სახის დადგენა საშუალებას იძლევა შეირჩეს კრიზისის დაძლევის პირველი რიგის ამოცანები, მიმართულებები და მეთოდები.

სტრატეგიის კრიზისი ვლინდება შეფერხებებით საწარმოს წინაშე დასახული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში.

ფინანსური ანგარიშგების მონაცემთა ზოგადი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი არალიკვიდური ბალანსი მიუთითებს საწარმოს უუნარობაზე – საკუთარი სახსრებით დაფაროს ვალდებულებები. ფინანსური კოეფიციენტების ანალიზით კი საანალიზო პერიოდში ლიკვიდურობის მაჩვენებლების, მარაგების დაფარვაში საკუთარი სახსრების ხვედრითი წილის, გადახდისუნარიანობის აღდგენის, ფინანსური მდგრადობის გამოვლენა ხდება. ფინანსური კოეფიციენტები გამოყენება ასევე საწარმოს საქმიანი აქტივობის, საოპერაციო და საფინანსო ციკლის ხანგრძლივობის ანალიზის პროცესში. გარე ინვესტორებზე საწარმოს დამოკიდებულების ზრდა, საკუთარი სახსრების ხვედრითი წილის შემცირება და საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნაკლებობა **ლიკვიდურობის კრიზისზე** მიუთითებს.

თუ საწარმო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზარალიანია, ფინანსური ანალიზით გამოვლინდა დიდი ოდენობით უიმედო დებიტორული დავალიანებები, ვადაგადაცილებული დავალიანებები და გაკოტრების მაღალი რისკი დაფიქსირდა, საწარმო **ფინანსურ კრიზისს** განიცდის. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სათანადო სტრატეგიის გამოყენება, ანტიკრიზისული მართვის ღონისძიებათა განხორციელება. აღნიშნულისთვის კი საჭიროა ამ დავალიანებების დაჯგუფება მათი ხანგრძლივობის მიხედვით და მათი დეტალური ანალიზი.

ანტიკრიზისული მართვის ძირითადი ფუნქციებია: **საწარმოს კრიზისიდან გამოყვანისკენ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელება, კრიზისიდან მოსალოდნელი დანაკარგების შემცირება. ანტიკრიზისული მართვის ინსტრუმენტად სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსური გაჯანსაღება სახელდება.**

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღება გულისხმობს კრიზისული საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენას მიმდინარე პერიოდში და საწარმოს ფინანსური პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფას გრძელვადიან პერსპექტივაში.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისული საწარმოს ფინანსური გაჯანსაღება ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი. ჭარბი საწარმოო

სიმძლავრეები, ნედლეულისა და გასაღების ბაზრების არარაციონალური ტერიტორიული განლაგება, დამხმარე და მომსახურე საწარმოებით გადატვირთვა, მართვის ზედმეტი ბიუროკრატია, იწვევს საწარმოს დაბალ საწარმოო პოტენციალს და შესაბამისად მისი ფინანსური გაჯანსაღების მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ დგება.

ფინანსური გაჯანსაღება გულისხმობს დავალიანებათა დაფარვას, გადახდისუნარიანობის აღდგენის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარებას და საწარმოს ფინანსური პოტენციალის გამოყენების ხარისხის ამაღლებას. ამ ღონისძიებათა განხორციელება კი საჭიროებს გარე წყაროებიდან დამატებითი ინვესტიციების განხორციელებას. ინვესტორმა უნდა მოახდინოს მის მიერ საწარმოს ფინანსურ გაჯანსაღებაზე გასაწევი დანახარჯებისა და მიღებული უკუგების თანაშეზომვა. ინვესტირების ძირითადი მიზანი ამ დროს კრიზისული სიტუაციის გამო იაფად შეფასებული საკუთრების უფლების მოპოვებაა.

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების მიზანშეწონილობის დადგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მის პოტენციურ უნარს ენიჭება. ფინანსური გაჯანსაღების მიზანშეწონილობის შეფასების კრიტერიუმს საწარმოში გამოუყენებელი პოტენციური შესაძლებლობების არსებობა წარმოადგენს, რომლებითაც საწარმოს მომგებიანობის უზრუნველყოფა შეიძლებოდა. ამ დროს მნიშვნელოვანია საწარმოს ფინანსური პოტენციალის არსებობა. ფინანსური პოტენციალი წარმოადგენს საწარმოს მთლიანი აქტივების მაქსიმალურ ღირებულებას მათი ეფექტიანი გამოყენების პირობებში.

ფინანსური პოტენციალის შეფასების ყველაზე ადეკვატურ მაჩვენებელს წარმოადგენს მისი საბაზრო ღირებულება.

საწარმოს ფინანსური პოტენციალის განხილვისას მათი ყველაზე ეფექტიანი გამოყენების პირობებში აუცილებელია ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდის გამოყენება.

ფინანსური გაჯანსაღების მიზანშეწონილობის შეფასების კრიტერიუმს ფინანსური გაჯანსაღების პროგრამიდან მიღებული უკუგების ამ მიზნით გაწეულ დანახარჯებზე მეტობა წარმოადგენს.

საწარმოს ანტიკრიზისული მართვის წარმატება დამოკიდებულია შემუშავებული პროგრამის წარმატებით რეალიზაციაზე. ფინანსური გაჯანსაღების პროგრამა უნდა იყოს კომპლექსური და უნდა მოიცავდეს არა მარტო ფინანსების მართვის სფეროს ღონისძიებებს, არამედ, წარმოების პროცესის, კადრების და მარკეტინგული საქმიანობის მართვის ღონისძიებათა განხორციელებას. პირველი დონის მოკლევადიანი მიზნების მიღწევა შესაძლებელია ფინანსური გაჯანსაღების პროგრამის ტაქტიკური ღონისძიებების რეალიზაციის ეტაპზე, რომელიც მიმართულია ფულადი საშუალებებით უზრუნველყოფისკენ. რაც შეეხება ფინანსური გაჯანსაღების გრძელვადიან მიზანს, მისი მიღწევა მხოლოდ საწარმოს მთელი საქმიანობის ანტიკრიზისული სტრატეგიის გამოყენებისასაა შესაძლებელი. ამავე დროს, ფინანსური გაჯანსაღების პროგრამის ტაქტიკური და სტრატეგიული ასპექტების შემუშავება და განხორციელება ერთდროულად უნდა მოხდეს.

ფინანსური გაჯანსაღების პროგრამის შემუშავებისათვის ამოსავალ ინფორმაციას საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დიაგნოსტიკის შესახებ მასალები წარმოადგენს. ანალიზს უნდა დაექვემდებაროს ფულადი ნაკადების მდგომარეობა. ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედი ყველა კრიტერიუმის დადგენა ფინანსური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით შეუძლებელია, ამიტომ, აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის მოძიება და ამავე დროს, კრიტერიუმების შესწავლისას დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინება. ეს უკანასკნელი კი, მხოლოდ სათადო რაოდენობის სტატისტიკური მონაცემებისა და მიმდინარე აღრიცხვის მონაცემების შეგროვების შემდეგაა შესაძლებელი.

საწარმოს ფინანსური კრიზისის დაძლევისთვის აუცილებელია ისეთი გარემოებების გათვალისწინება, როგორიცაა: **დაბეგვრის თავისებურებანი, საწარმოს საანგარისწორებო პოლიტიკა.**

ფინანსურმა ანალიზმა საწარმოს ძირითადი საქმიანობისა და მისი შედეგების შესწავლის გარდა, უნდა დაადგინოს საწარმოს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო რესურსების ოდენობა, მათი დადგენილ ვადაში და საიმედოდ დაფარვის შესაძლებლობა.

ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია მიმდინარე ვალდებულებათა დასაფარავად საკმარისი ფულადი სახს-

რებით საწარმოს უზრუნველყოფა და პირველი რიგის ფინანსურ ვალდებულებათა დასაფარავად მათი გამოყენება. მდგრადი ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ფინანსური ვალდებულებების დაფარვის დეტალური გრაფიკის შედგენა, რომელიც საწარმოს დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის აუცილებელი ფულადი სახსრების დაგეგმვის საშუალებას მისცემს.

რესურსების ოდენობის დადგენისთვის გასაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამონაგების საერთო ოდენობის განსაზღვრას. ანალიზის შედეგებით კი უნდა გაკეთდეს სათანადო დასკვნები საერთო ამონაგების სტრუქტურის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების, ამონაგების დინამიკაში მომხდარი ცვლილებების შესახებ და განისაზღვროს არასასურველი ტენდენციის გამოვლენისას სათანადო ზეგავლენის მოხდენის ხერხები.

მნიშვნელოვანი საკითხია საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების ანალიზი. მიზანშეწონილია ანალიზური ცხრილის შედგენა, სადაც წარმოდგენილი იქნება გადასახადების სახეების მიხედვით დარიცხული თანხები და გადასახადების დაფარვის ფორმები. ასევე აუცილებელია გაკეთდეს დასკვნები და შეთავაზებულ იქნეს წინადადებები საწარმოს მიერ საგადასახადო ვალდებულებათა დასაფარავად ფულადი სახსრების რაციონალურად გამოყენების შესახებ.

საგადასახადო ვალდებულებათა დაფარვის ვადების დარღვევისას უნდა გამოვლინდეს აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები. წლების განმავლობაში საწარმოს ფისკალური დატვირთვის ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს გააჩნია თუ არა საწარმოს სათანადო რესურსები და მას ეპიზოდური ხასიათი აქვს, თუ საწარმოში ფინანსური კრიზისის ინდიკატორს წარმოადგენს.

საგადასახადო ტვირთის სიმძიმის დასადგენად მიზანშეწონილია სათანადო კოეფიციენტის გაანგარიშება, რომელიც განისაზღვრება დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების შეფარდებით საერთო ამონაგებთან. მიღებული კოეფიციენტი გვიჩვენებს მიღებული ამონაგების ერთი ლარიდან რამდენი თეთრია საჭირო საგადასახადო ვალდებულებათა დასაფარავად, უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება გადახდილი საგადასახადო ვალდებულებების შეფარდებით საერთო ამონაგების თანხასთან და გვიჩვენებს საერთო ამონაგების ერთ ლარიდან საგადასახადო ვალდებულებათა დასაფარავად საწარმოს რამდენი თეთრის გადახდა შეუძლია. ეს მაჩვენებლები საშუალებას იძლევა შეფასდეს საწარმოს მიერ თავის საგადასახადო ვალდებულებათა დაფარვის უნარი.

ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შორის ერთ ერთი მნიშვნელოვანია კრედიტორებისა და საწარმოს თანამშრომელთა წინაშე დავალიანებათა დაფარვის დეტალური ანალიზი, თითოეული კრედიტორის, ან კრედიტორთა ჯგუფის წინაშე არსებული ვალდებულებების შესწავლა, რომელიც პრობლემური კრედიტორების გამოვლენისა და მოცემულ კატეგორიასთან მუშაობისთვის სათანადო ღონისძიებათა გატარების საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება საწარმოს პერსონალის წინაშე დავალიანებებს, აქ უნდა მოხდეს დარიცხული და ფაქტიურად გადახდილი თანხების შედარება, რაც საწარმოს პერსონალის წინაშე ვალდებულებათა დაფარვაში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და მათი გამოსწორების გზების დასახვის საშუალებას იძლევა.

ვალდებულებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს ბანკის კრედიტები წარმოადგენს, ამიტომ, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ზოგადი შეფასების შემდეგ, რომელიც ამ ვალდებულებათა წარმოშობის ვადების, მათი სარგებლობისთვის პროცენტების, ვალდებულებათა საერთო ოდენობაში მათი ხვედრითი წილის შესწავლას გულისხმობს, საჭიროა ასევე ამ დავალიანებათა სტრუქტურის შესწავლა. ასეთი ანალიზით ვლინდება ე.წ. „მძიმე“ კრედიტები, შესაბამისად გადასახდელი პროცენტები და საჯარიმო სანქციები.

ფინანსური სიძნელეების მქონე საწარმოთა ხელმძღვანელებს ფინანსური ანალიზისა და შესაბამისი მმართველობითი ღონისძიებების განხორციელებით შეუძლიათ საწარმოს სრული კრახისგან დაცვა და მისი გადახდისუნარიანობის აღდგენა. რაც უფრო სტაბილურია საწარმო, მით უფრო დამოუკიდებელია იგი ბაზრის კონიუნქტურის მოულოდნელი ცვლილებებისგან და მით უფრო ნაკლებია გაკოტრების საფრთხე.

როგორც აღვნიშნეთ, საწარმოს ფინანსური კრიზისი ვლინდება ფულადი სახსრების უკმარისობაში, ვადაგადაცილებული კრედიტორული და დებიტორული დავალიანებების ზრდაში, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის მკვეთრ შემცირებაში და სხვა არახელსაყრელი გარემოებების არსებობაში. ასეთი მდგომარეობის გამოვლენისას, აუცილებელია გაიზარდოს საწარმოს მენეჯმენტის მიმართ მოთხოვნები, რადგანაც იგი ვალდებულია მიიღოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილება. საწარმომ, რომელიც ფინანსური კრახის წინაშეE დგას, სერიოზული ცვლილებების შედეგად შეიძლება გააგრძელოს ფუნქციონირება. ეს შეიძლება მოხდეს რეორგანიზაციის, ან რესტრუქტურიზაციის შედეგად. ასეთი კრიზისის დაძლევა დამოკიდებულია მისი მენეჯმენტის უნარზე, დროულად მიიღოს ადექვატური ზომები.

ფინანსური კრიზისის არსებობისას ფულადი სახსრების მოზიდვის მიზნით **მიზანშეწონილია:**

- **საწარმოს საკუთრებაში არსებული, მიმდინარე პერიოდში გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან იჯარით გადაცემა, თუ ეს წარმოების პროცესის შეფერხებას არ გამოიწვევს;**
- **გაყიდვების ოპტიმიზაცია, რომლის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი რეზერვია წარმოების დივერსიფიკაცია და მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნის შესწავლა.;**
- **დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის დაჩქარების**

უზრუნველყოფა საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებების გზით.

ნებისმიერი სახის აქტივი, მატერიალური, თუ არამატერიალური, შენობები, ნაგებობანი, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობანი, გრძელვადიანი ინვესტიციები აქციებსა და ობლიგაციებში, ტექნოლოგიები და სხვა, რომლებიც ვალდებულებებით არ არიან უზრუნველყოფილი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს ვალების დასაფარავად, ან გაიცვალოს ფულად სახსრებზე. საწარმოს ფასიანი ქაღალდების შეძენის სურვილი შეიძლება გამოთქვან კრედიტორებმა, რაც ფულადი სახსრების შევსების რეზერვად შეიძლება მოევლინოს კომპანიას.

გაყიდვების ოპტიმიზაციის მიზნით მიზანშეწონილია ფასების პოლიტიკის რეგულირება, აქტიური და მსყიდველობითუნარიანი დებიტორებისთვის ფასდათმობების შეთავაზება, ახალ მყიდველებთან სტრატეგიული კავშირების გაფორმება.

არსებული კრიზისული სიტუაციის დაძლევა შესაძლებელია საწარმოს პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით, საკადრო პოლიტიკის ოპტიმიზაციით, ფასების პოლიტიკის სრულყოფით და ა.შ. ფინანსური კრიზისიდან ხსნა შეუძლებელია მხოლოდ საწარმოში განხორციელებული შიდა ეკონომიის ხარჯზე. ამ დროს აუცილებელია სახსრების გარედან მოზიდვა, რაც საკმაოდ რთულია. იმისათვის, რომ შეძლოს თავის შენარჩუნება, ხოლო, შემდეგ დაიწყოს საქმიანობის ახალი და ბევრად უფრო ეფექტიანი ეტაპი, საჭიროა საწარმოს გაჯანსაღების ღონისძიებათა ოპტიმალური შეთანაწყობა.

ფინანსური გაჯანსაღების პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. ჩატარებული ანალიზის შედეგების განხილვის შემდეგ უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენის ღონისძიებანი. მომდევნო ეტაპზე უნდა აღდგეს საწარმოს ფინანსური მდგრადობა, ბოლოს კი საწარმოს წარმატებულობის აღდგენა, ეკონომიკური იმუნიტეტის ჩამოყალიბება და სრული ფინანსური სტაბილიზაცია უნდა იქნეს მიღწეული. ფინანსური ანალიზის შედეგები საშუალებას იძლევა საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებანი წარმოვიდგინოთ საქმიანობის სახეების მიხედვით:

· საწარმოო საქმიანობა- თვითღირებულების შემცირების და ხარჯების ოპტიმიზაციის ღონისძიებათა შემუშავება, შრომითი და სამეურნეო ხელშეკრულებების შესრულების ანალიზი, ძირითადი საშუალებების ფონდების სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე აქტიური ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილის დადგენა და მისი გაუმჯობესების ტენდენციის უზრუნველყოფა, საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შესწავლა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა დანერგვა.

· მარკეტინგული საქმიანობა- რეალიზაციის მოცულობის ზრდის ღონისძიებათა განხორციელება, სარეკლამო კამპანიის განხორციელება.

· ფინანსური საქმიანობა - დებიტორული დავალიანებების ანალიზის საფუძველზე უიმედო დებიტორული დავალიანებების ჩამოწერა და დებიტორებისგან ვალის ამოღების ღონისძიებათა შემუშავება-გატარება, ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებების გამოვლენა, დავალიანებათა დაფარვის გრაფიკის შედგენა შესაძლო გადავადებების და დათმობების გამოყენებით.

· მენეჯმენტი - არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი და მისი სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება, საწარმოს პერსონალის მართვის სრულყოფა, მათი პროფესიული დონის ამაღლება და მატერიალური და მორალური სტიმულირების ღონისძიებათა შემუშავება.

ფინანსური გაჯანსაღების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ფაქტორინგი, ბანკისთვის, ან ფაქტორინგული კომპანიისთვის დებიტორული დავალიანების ამოღების უფლების გადაცემა, რომლის თანახმადაც, საწარმო ბანკს უთმობს თავის უფლებას კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის სახით.

ერთ-ერთი ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ლიზინგის მეშვეობით, რომელიც არ ითხოვს იჯარით აღებული ქონების ერთდროულ სრულ ანაზღაურებას, და წარმოადგენს ინვესტირების ერთ-ერთ სახეს. ფინანსური გაჯანსაღების ერთ-ერთ რეზერვია ასევე კრედიტის მოზიდვა მომგებიანი პროექტებისთვის და წარმოების დივერსიფიკაცია სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით, როცა დანაკარგები ერთი მიმართულებით იფარება მეორედან მიღებული მოგებით.

ანა ჩეჩელაშვილი,
ანჟელი ხორავა,
თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

სახელმწიფოში ფინანსური ურთიერთობების სრულყოფა და განვითარება შეუძლებელია ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შემუშავების გარეშე. საგადასახადო სისტემის შექმნა და ორგანიზაცია უშუალოდ დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობა-განვითარებასთან. საგადასახადო სისტემა სახელწიფოს მიერ ამოსაღები გადასახადების, ამ სისტემის აგების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას წარმოადგენს.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს:

- **გადასახადებს, მათი დაწესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს;**
- **გადასახადების გადახდასთან და საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე, საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს;**
- **საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმოშობილ დავათა გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესს.**

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება მოსალოდნელი მაკროეკონომიკური დისპროპორციების მიზეზების გათვალისწინებით, რომ განისაზღვროს თუ როგორი საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა და პოლიტიკა შეუწყობს ხელს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და მაკროეკონომიკური ამოცანების (ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის შემცირების) წარმატებით გადაწყვეტას.

საგადასახადო სისტემის სრულყოფისა და საგადასახადო შემოსავლების გადიდების ღონისძიებათა შემუშავებისას საჭიროა განისაზღვროს რამდენად ადვილად და ეფექტიანად შეიძლება გაიზარდოს შემოსავლები არსებული საგადასახადო სისტემის პირობებში, რის შემდეგ, აუცილებლობისშემთხვევაში, უნდა დადგეს საკითხი საგადასახადო დაბეგვრაში რეფორმების განხორციელების აუცილებლობის შესახებ. გარდა ამისა, საგადასახადო შემოსავლების გადიდების უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებების შეფასება-ანალიზისას ხელისუფლებას მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეს მათი ზემოქმედება: ფასებზე, სტიმულებსა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ნაკრებზე. არადა, მიწოდება-მოთხოვნის ელასტიურობიდან გამომდინარე, გადასახადებს შესწევს უნარი სხვადასხვა დონით იმოქმედოს ცალკეულ ბაზრებსა თუ ეკონომიკის სექტორებზე.

საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის წარმატებით შედგენის უზრუნველყოფა მოითხოვს საგადასახადო სისტემის ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებას, როგორიცაა: **სტაბილურობა და ელასტიურობა, ეფექტიანობა, სამართლიანობა, მართვის სიმარტივე, მოხერხებულობა, საგადასახადო ტვირთის გონივრული საზღვრების დადგენა.**

გადასახადები, როგორ ეკონომიკური კატეგორია, გადანაწილებით პროცესში მონაწილეობით სახელმწიფოს უზრუნველყოფს ფინანსური რესურსებით. გადასახადების მატერიალურ წყაროდ გამოდის ახალი ღირებულება, რომელიც შექმნილია წარმოების ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: **შრომა, კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები.** ამდენად, გადასახადების წყაროა ეროვნული შემოსავალი.

დადასტურებულია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული საგადასახადო სისტემის ორგანიზაციაზე. საქართველოს საგადასახადო სისტემა ეყრდნობა მკაცრად განსაზღვრულ ფისკალურ პოლიტიკას, ანუ, იყენებს გადასახადების მხოლოდ ფისკალურ ფუნქციას, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შევსებას სტაბილური გადასახადებითა და ცენტრალიზებული გზით, რაც სახელმწიფოს აქცევს უმსხვილეს ეკონომიკურ სუბიექტად. ერთი შეხედვით, ასეთი საგადასახადო პოლიტიკა მისაღები და რეალური უნდა იყოს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მკაცრად ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა თავდაპირველად ხელს უწყობს საგადასახადო შემოსავლების მოზიდვას სახელმწიფო ბიუჯეტში, მაგრამ, თუ მას თან არ სდევს საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ფუნქციების გამოყენება, ანუ, საგადასახადო განაკვეთების ოპტიმუმის განსაზღვრა, ეროვნული მეურნეობის ზოგიერთ დარგში განაკვეთების შემცირება, მაშინ თანდათანობით მცირდება საგადასახადო ბაზა და შესაბამისად, მცირდე-

ბა გადასახადების წილი საბიუჯეტო შემოსავლებში (თუმცა, გარეგნულად აბსოლუტურ მაჩვენებლებში ზრდის ტენდენციას შეიძლება ჰქონდეს ადგილი). ამიტომ, მიზანშეწონილია საგადასახადო განაკვეთების კორექტირებით შეიქმნას საგადასახადო ბაზის გაფართოების პირობები. ამასთან, საგადასახადო განაკვეთების შემცირება ხელს შეუწყობს სამეურნეო აქტივობის ამაღლებას, ინვესტიციების მოზიდვასა და დასაქმების ზრდას. საგადასახადო განაკვეთების შეცვლით სახელმწიფო ქმნის დამატებით სტიმულებს ფინანსური რესურსების გადიდებისთვის, მაშასადამე, ქვეყნის საგადასახადო სისტემამ, ხელი უნდა შეუწყოს და შექმნას წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და საბოლოო ჯამში, საგადასახადო ბაზის გაფართოების პირობები – წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების გაფართოების შესაძლებლობები დაეცემა, შეიზღუდება საგადასახადო ბაზა და ამით შეიქმნება ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის ხანგრძლივად შენარჩუნების პირობები.

საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი ინსტრუმენტების მოქნილად გამოყენება ხელსაყრელ პირობებს ქმნის სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკური ზრდა. ამასთან, ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების დაწესებით ფირმის განკარგულებაში დარჩენილი მოგების ნაწილით მას შეუძლია გააფართოოს საწარმოო სიმძლავრეები, დანერგოს წარმოებაში უახლესი ტექნიკა და გახდეს კონკურენტუნარიანი. ამასთან, აუცილებელია საგადასახადო შეღავათების დაწესებისთვის ამოსავალ პუნქტად იქცეს წარმოების მიზნობრიობა და წარმოების განვითარების დონე. **რაც უფრო დაბალია წარმოების დონე, მით უფრო მეტი უნდა იყოს საწარმოებში საგადასახადო შეღავათები, რათა მათ განკარგულებაში დარჩეს რაც შეიძლება მეტი ფინანსური რესურსი წარმოების მასშტაბების გადიდების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის**.

საქართველოში 2013 წლის მდგომარეობით მოქმედებს შემდეგი საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადები: **საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი; აქციზი; იმპორტის გადასახადი.**

ხოლო ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება **ქონების გადასახადი**.

საქართველოში მოქმედი გადასახადების სტრუქტურა (იხ. ნახ.):

საშემოსავლო გადასახადი–საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

- **რეზიდენტი ფიზიკური პირი, ანუ პირი რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში;**
- **არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველო ტერიტორიაზე საქმიანობის შედეგად.**

ამ გადასახადის ობიექტია ფიზიკური პირების—მუშების,მოსამსახურეების, გლეხების, მეწარმეების შემოსავალი. საშემოსავლო გადასახადით იბეგრება გადამხდელის წმინდა შემოსავალი,რაც მიიღება საერთო შემოსავლიდან დადგენილი ხარჯებისა და საგადასახადო შეღავათების გამოკლებით. შეღავათებში კი იგულისხმება დაუბეგრავი მინიმუმი, პროგრესული ხარჯები, სოციალური დაზღვევის ფონდში შენატანები და სხვ. დღევანდელი მდგომარეობით საშემოსავლო გადასახადი დასაბეგრი შემოსავლის 20 % -ს შეადგენს.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი - 5 % (საგადასახადო კოდექსის 90-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში - 3 %) დივიდენდი და პროცენტი - 5-5%-ს.

მოგების გადასახადი–მოგების გადასახადის გადამხდელია საქართველოს საწარმო, უცხოური საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. უცხოური პირი, რომელიც არ არის ფიზიკური პირი, ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში და არ დაასაბუთებს თავის თანამფლობელობას საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მიხედვით.

საქართველოში მოგების გადასახადი განისაზღვრება როგორც დასაბეგრი მოგების 15%, ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების" განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება - 10 % (თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.)

ვფიქრობ, წარმოებისა თუ მომსახურების ყველა სფეროს მოგების გადასახადის ერთიანი განაკვეთით დაბეგვრა არაეფექტური და არასამართლიანია. მოგების გადასახადის დიფერენცირებული უფრო დაბალი განაკვეთები ხელს შეუწყობდა ადგილობრივი წარმოების გაფართოებას. გარდა ამისა საგანმანათლებლო დაწესებულებების მოგების გადასახადით დაბეგვრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათ არა აქვთ საშუალება სწრაფი რეაგირება მოახდინონ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებზე და შეცვალონ თავიანთ სასწავლო პროგრამათა ფასები ყოველწლიურად, ასეთი არაელასტიურობისა და აღნიშნული სფეროს პრიორიტეტულობის გამო, ასეთი დაწესებულებები უნდა დაიბეგრონ დასაშვები მინიმალური ტარიფით (დიფერენცირებული განაკვეთების შემოღების შემთხვევაში).

არაპირდაპირი გადასახადები საქონლისა და მომსახურებისგან ამოიღება და დანამატის სახით შედის მათ ფასებსა და ტარიფებში. პირდაპირი გადასახადებისგან განსხვავებით, ისინი უშუალოდ არ არის დაკავშირებული გადამხდელის შემოსავალთან ან ქონებასთან. დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს საქონელი, ძირითადად პირადი მოხმარების საგნები, არაპირდაპირი გადასახადის საბოლოო გადამხდელია მომხმარებელი.

აქციზი–აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში - თავის მიერ წარმოებულ საქონელზე (მათ შორის დამკვეთის ნედლეულით წარმოებულზე), ახორციელებს ბუნებრივ

ნახ 1. მოქმედი გადასახადების სტრუქტურა[1]



1 http://www.pbo.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=97

აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის - ასეთ მიწოდებაზე, ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში - თავის მიერ განხორციელებულ დროებით შემოტანაზე, ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს - თავის მიერ განხორციელებულ ექსპორტზე. საქართველოში მოქმედი აქციზური საქონლის სახეებია: **სპირტი და ალკოჰოლური სასმელები, ლუდი. თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა) - ექვემდებარება აქციზური მარკებით ნიშანდებას. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი. ბუნებრივი აიროვანი კონდენსატი და ბუნებრივი აირი გარდა მილსადენისა. ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი ქანებისგან, ნედლის გარდა. ზეთები და ქვანახშირის ფისებისგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი პროდუქტები. ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები. პიროლიზის თხევადი პროდუქტი. მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი. საპოხი მასალები და საშუალებები.**

საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის მიხედვით: 1) აქციზური საქონელი იბეგრება **დიფერენცირებული განაკვეთებით;** 2) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ოპერაციის თანხის 10%-ს. რაც შეეხება ანგარიშწორებას, დეკლარირება ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისთვის.საქართველოში აქციზის გადასახადით დაბეგვრა წმინდა ფისკალურ ფუნქციას ასრულებს და არანაირ პროტექციონისტულ მიზნებს არ ემსახურება. ისეთ საქონელზე, როგორებიცაა: **ლუდი, სპირტიანი სასმელები, თამბაქო, აქციზის გადასახადის გაუქმება, საშუალებას მისცემდა ადგილობრივ წარმოებას უფრო მეტად გაფართოებულიყო და შესაძლოა გამოეწვია ესქსპორტის ზრდაც. გარდა ამისა, შეამსუბუქებდა საგადასახადო ტვირთის სიმძიმეს საქართველოში.**

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ),რაც გადაიხდება წარმოების, ან მიმოქცევის ყველა სტადიაზე დამატებული ღირებულებიდან. დამატებული ღირებულება შეიცავს ხელფასს დანარიცხებით, ამორტიზაციას, კრედიტის სარგებელს, ხარჯებს ელექტროენერგიაზე, ტრანსპორტზე, რეკლამაზე და სხვ. საქართველოში დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18%-ს შეადგენს; საქონლის დროებითი შემოტანისას - დროებითი შემოტანის თანხის 0.54%, ამ საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 18 პროცენტისა; უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციის თანხის 18%.

იმპორტის გადასახადიარის არაპირდაპირი გადასახადი საიმპორტო, საექსპორტო და სატრანზიტო საქონელზე, რომელიც შედის სახელმწიფო ბიუჯეტში. იგი გადაიხდება განაკვეთების შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია საიმპორტო ტარიფებში. ხშირ შემთხვევებში განაკვეთები დაწესებულია პროცენტებში საქონლის ღირებულებიდან. იმპორტის გადასახადი თანამედროვე პირობებში შეიძლება იყოს: **ფისკალური,**

რაც აფართოებს ბიუჯეტის შემოსავლის წყაროს; პროტექციონისტული (მფარველობითი) და ზეპროტექციონისტული, რომ დაიცვას საშინაო ბაზარი უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის კონკურენციისგან; ანტიდემპინგური (პროტექციონისტულის ერთ-ერთი სახე), რაც იმპორტული საქონლის მიმართ გამოიყენება ქვეყნის შიგნით დაბალ ფასებში შეღავათიანად გაყიდვის მიზნით, რაც გარკვეული საქონლის ან მთელი იმპორტის მიმართ გამოიყენება ურთიერთშეღავათიანი ხელშეკრულებების საფუძველზე. საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის 1 პუნქტით განსაზღვრული საქონლის სატარიფო ღირებულება იბეგრება - 12%-ით; მე-2 პუნქტით - 5%-ით; მე-3 პუნქტით — დიფერენცირებულიგანაკვეთებით (იხ. ცხრილი).

იმის მიხედვით, თუ ვინ არის გადასახადის ამომღები და მიღებული შემოსავლების განმკარგულებელი, ანსხვავებენ **სახელმწიფო** და **ადგილობრივ გადასახადებს**[1].

სახელმწიფო გადასახადები ამოიღება ცენტრალური მთავრობის მიერ ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობათა საფუძველზე და მიიმართება ცენტრალურ ბიუჯეტში. მათ მიეკუთვნება: **საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, იმპორტის გადასახადი და ა.შ.** ამ გადასახადების ამოღება შესაძლებელია გადაკისრებული ჰქონდეს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, თანხის ცენტრალურ ბიუჯეტში შეტანით. ადგილობრივი გადასახადები ამოიღება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ კონკრეტულ ტერიტორიაზე და ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტებში.

ქონების გადასახადი– საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი - დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 %-ია.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით:

40 000-დან-100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 %-ისა და არა უმეტეს 0.2 %-ისა;

100 000 ლარის, ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8%-ისა და არაუმეტეს 1%-სა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით და დგინდება 1 ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარში (სსკ. მუხლი 204; პუნქტი 1; ა,ბ,გ,); ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ ნაწილით დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს.

არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე (კონკრეტული მიწის ნაკვეთისთვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით) - გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის 1 კვადრატულ მეტრზე0.24 ლარის ოდენობით; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე, რომელიც არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისთვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწა იბეგრება ერთ ჰექტარზე არა უმეტეს 3 ლარით.

ბიზნესის დაფუძნება ნამდვილად გამარტივებულია, მაგრამ გადასახადების შესახებ ცოტა რთული წარმოდგენა გვაქვს. გადასახადები სინამდვილეში არ შემცირებულა და თუ ოფიციალურ სტატისტიკას გადავხედავთ, 2003

1 www.rs.ge

სახელმწიფო გადასახადები 2012-2013 წლებში[1] მლნ ლარი

დასახელება	2012	2013	სხვაობა
სულ	6,300.0	6,920.0	620.0
მათ შორის:			
საშემოსავლო გადასახადი	1,597.0	1,813.0	216.0
მოგების გადასახადი	900.0	924.0	24.0
დღგ	3,014.0	3,384.0	370.0
აქციზი	644.0	665.0	21.0
იმპორტის გადასახადი	100.0	104.0	4.0
სხვა გადასახადები	45.0	30.0	-15.0

1 www.mof.ge

წლამდე საგადასახადო ტვირთი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში იყო 13-14%-ის ფარგლებში, ახლა არის 24-25%-ის ფარგლებში.ანუ, საგადასახადო ტვირთი საგრძნობლად გაიზარდა (თუმცა, განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჯერაც საკმაოდ ჩამორჩება).გადასახადების ნაწილი მოსაკრებლების სფეროში გადავიდა, თუმცა, ის ტვირთად მაინც გადამხდელებს აწევს.

საგადასახადო კანონმდებლობის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა მისი არასტაბილურობაა.1997 წლის 13 ივნისს მიღებულ კოდექსში 2004 წლის 22 დეკემბრამდე (ახალ კოდექსამდე)შევიდა 81 ცვლილება (7 წელიწადში); 2004 წლის 22 დეკემბერს მიღებულ კოდექსში 2010 წლის 17 სექტემბრამდე ახალი კოდექსის მიღებამდე რომელიც 2011 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში– 67 ცვლილება, (6 წელიწადში),უკვე ახალ კოდექსში 56 ცვლილებაა შეტანილი (2 წელიწადში).ეს შესწორებები ზოგი რედაქციული ხასიათისაა, მაგრამ ზოგი პრაქტიკულად დიამეტრულად ცვლის ხოლმე კონცეფციას. **ერთს მხრივ, კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს რეალობას, მასში ადეკვატურად უნდა იყოს ასახული დაბეგვრის პრინციპები და ხელისუფლების საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები. თუმცა, მეორეს მხრივ, ხშირი ცვლილებები ქმნის არა მარტო არასტაბილურობის განცდას გადასახადის გადამხდელებში, არამედ, ამცირებს საქმიანობის შორსმიმავალი გეგმებით მათი საქმიანობის მოტივაციას.**

ზემოთ აღნიშნულის გამოსასწორებლად, პირველ რიგში, ბაზარი მაქსიმალურად უნდა გათავისუფლდეს ზედმეტი რეგლამენტირებისგან. ხელისუფლება უბრალოდ, მიუკერძოებელი არბიტრის როლს უნდა ასრულებდეს. გადასახადების სიმძიმეზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის განისაზღვრება დასაბეგრი ბაზით და სხვა მონაცემებით. მაგალითად, საფრანგეთში, ყოველთვიური შემოსავალი 300 ევროს ოდენობით, საერთოდ არ იბეგრება.საქართველოში დაუბეგრავი მინიმუმი ბოლო დრომდე არ არსებობდა. 2012 წლის 27 დეკემბერს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებით, 2013 წლიდან მათი შემოსავალი, ვისი ხელფასიც წელიწადში 6000 ლარს არ აღემატება (თვეში - 500 ლარს), პირველი 150 ლარის ფარგლებში (ანუ ამჟამად მოქმედი ფაქტობრივი საარსებო მინიმუმის დონეზე) საშემოსავლო გადასახადით აღარ დაიბეგრება. უფრო სწორად, 2013 წელს ასეთ პირთა მიერ გადახდილი გადასახადი უკანვე დაუბრუნდებათ 2014 წლის 1 აპრილიდან (360 ლარის ოდენობით). აღნიშნული ცვლილება პროგრესული საშემოსავლო გადასახდის დამკვიდრებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.[1]

ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს ბიზნესის განვითარებას იმპორტის გადასახადი, ბევრი მცირე ბიზნესი შეძლებდა გაფართოებას, რომ არა ის ფინანსური დანახარჯები, რომლებსაც საქონლის იმპორტირების პროცესში აწყდებიან. საქართველოში არსებული შემოსავლების დონიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი საკმაოდ აფერხებს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებას და მცირე ან საშუალო ბიზნესს ართმევს საქმიანობის გაფართოების სტიმულს.

ეკა გრიგალაშვილი,
თსუ დოქტორანტი

1 **საქართველოს საგადასახადო კოდექსი მუხლი 81[1]**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი; თბ., 2013
2. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ. გადასახადები და დაბეგვრა. - თბილისი, 2011.
3. www.economy.gov.ge
4. cwww.geostat.ge
5. www.mof.ge
6. www.pbo.parliament.ge
7. www.rs.ge

ABSTRACT

Existing Taxes and the Issue of Tax Burden in Georgia

Eka Grigalashvili, TSU Doctoral student

The improvement and development of financial relations in a state is impossible without an efficient tax system. The development and organization of a tax system is directly linked with the formation and development of a state. Tax system is a system introduced by a government for assessing and collecting taxes, characterized by a respective structure and a set of methods.

In order to improve the tax system and augment tax revenues, it is necessary to look for painless and efficient ways to build revenue growth under the existing tax system, and after that, as required, the need for taxation reforms is to be considered. Besides, while assessing tax revenue augmentation measures, the government should not overlook their impact on prices, incentives and macroeconomic indicators, as, taking into account the elasticity of supply and demand, taxes are capable of influencing individual markets and economic sectors to various extents.

ბიზნეს იდეის დაფინანსების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

ნანა შონია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოც. პროფესორი

ახალი ბაზრის შექმნა მოზაიკური სურათის აწყობას გავს, სადაც ხშირად საჭიროა სხვების დახმარება, რომ ადგილი მივუჩინოთ მოზაიკის ყველა კენჭს. არც ერთი კენჭი არ გავს ერთმანეთს და თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული როლი და ადგილი აქვს.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან ერთად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ბიზნეს იდეა ჩანასახშივე განწირულია. ის "მოზაიკური კენჭები", რომლითაც ხდება ახალი ბაზრის აწყობა, ქაოსურადაა მიმოფანტული. ქვეყნის მთავრობა და ცენტრალური ბანკი ზედმეტად არ იტვირთავს თავს სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომერციული ბანკები ცივ უარს აცხადებენ ბიზნეს იდეის დაფინანსებაზე რისკის მაქსიმალურობის გამო, ბანკების მიერ შემუშავებული საკრედიტო პოლიტიკა არ არის ორიენტირებული ბიზნეს-იდეების მქონე პოტენციურ მსესხებლებზე, არ ითვალისწინებენ ქვეყნის მოსახლეობის ინტელექტუალურ და ფინანსურ კაპიტალს. არსებული პრობლემის გადაჭრის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგადად მთავრობამ, კერძოდ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქურის სამინისტროებმა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და კომერციულმა ბანკებმა ერთობლივად ააწყონ ისეთი „მოზაიკური სურათი", სადაც ყველა კენჭს თავისი ადგილი ექნება მიჩენილი, კერძოდ: მთავრობამ და შესაბამისმა სამინისტროებმა პრიორიტეტად დაისახონ ინკლუზიური და მწვანე ბიზნესის ფორმირება-ფუნქციონირება; საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თავის თავზე აიღოს ინტელექტუალური კაპიტალის რეალიზების მექანიზმების შემუშავება და გატარება, ბიზნეს-იდეების მქონე პირებს დაუდგეს თავდებად და ბიზნესის წარმატებით განსახორციელების მიზნით გაუწიოს კონსულტაციები, მისცეს რეკომენდაციები; კომერციულმა ბანკებმა სესხი გასცენ მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში მსესხებლისთვის სავალუტო რისკების შემცირების მიზნით; მსესხებელს მიეცეს საშეღავათო პერიოდი, თუნდაც 2 თვე; საპროცენტო განაკვეთი განისაზღვროს ბანკის ლიკვიდობიდან, ან რეფინანსირებისა და ერთდღიანი სესხების საპროცენტო განაკვეთებიდან გამომდინარე; ბანკებმა შეღავათიანი კრედიტები გასცენ ინკლუზიური და მწვანე ბიზნესის დასაფინანსებლად.

საქართველოში ფუნქციონირებადი კომერციული ბანკები მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებელი პროგრამების რეკლამირებას სისტემატიურად ახდენენ [http://taripebi.ge], მაგრამ არის ერთი სერიოზული პრობლემა - ბიზნეს იდეის დაფინანსება საქართველოში დღემდე აქილევსის ქუსლს წარმოადგენს, ქართველი ერი ყოველთვის გამორჩეოდა თავისი ნიჭიერებითა და სტუმართმოყვარეობით, ქართველს შეუძლია იამაყოს საკუთარი ინტელექტუალური კაპიტალით, მაგრამ დღემდე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს აღნიშნულის რეალიზება, ქართველს გააჩნია იდეა, მაგრამ არ აქვს ფული, ის საოცარი ფენომენი, რომლის გარეშეც ვერ ახდენს საკუთარი იდეის რეალიზებას. კომერციული ბანკების მიერ რეკლამირებული ბიზნეს-სესხები ხელმისაწვდომია მხოლოდ არსებული ბიზნესის მეპატრონეებისთვის და არა ბიზნესის დამწყებთათვის.

გამოდის, რომ ქართველის იდეა ჩანასახშივე განწირულია!

აღნიშნული პრობლემა განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

მიზეზი პირველი: მთავრობისა და შესაბამისი სამინისტროების (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები) ინერტულობა ბიზნეს იდეების რეალიზებისადმი, თუნდაც ინკლუზიური და მწვანე ბიზნესისადმი, როცა ბიზნესის ორივე მიმართულება დასაქმების რეალურ გზას წარმოადგენს. **ინკლუზიური ბიზნეს მოდელი გულისხმობს** დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანების ჩართვას ღირებულების შექმნის ჯაჭვის სხვადასხვა საფეხურზე, დაბალი შემოსავლების ადამიანებს აძლევს საშუალებას დაიკმაყოფილონ ძირითადი მოთხოვნილებები, მოიპოვონ მდგრადი შემოსავალი და აამაღლონ პროდუქტიულობა. გარდა ამისა, მოდელი შეიძლება შემუშავებული იყოს ისე, რომ ბუნებრივი რესურსები რაციონალურად იქნეს გამოყენებული.

ევროპისა და ცენტრალური აზიის მრავალ რეგიონში წარმატებით ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის ინკლუზიური ბიზნეს მოდელები, კერძოდ: თურქეთში, თურქმენეთში, აზერბაიჯანში, მაკედონიაში, სომხეთში, ყირგიზეთში, ალბანეთში, უკრაინაში,

ბოსნია და ჰერცოგოვინაში და ა.შ. საქართველოში მხოლოდ ერთი ინკლუზიური ბიზნეს მოდელი არსებობს - „**ბეღელი**“, რომელიც არის ორგანული პროდუქტების დისტრიბუტორი კომპანია, 10%-იანი წლიური ზრდის ტემპით. კომპანია უზრუნველყოფს მარკეტინგის პირდაპირ არხებს 400–ზე მეტი დაბალი შემოსავლის მქონე ფერმერისთვის, რომლებიც იღებენ პრემიალურ ფასნამატს და სპეციალურ მომზადებას, რომ მათმა პროდუქციამ დააკმაყოფილოს ორგანული პროდუქციის სტანდარტები. უკრაინაში ფუნქციონირებს მსხვილი ადგილობრივი კომპანია „Vitmark“, რომელმაც წარმატებით აითვისა ხილის წვენების ბაზარი (ბაზრის წილი- 22%) შესთავაზა რა დაბალშემოსავლიან მომხმარებელს მაღალი ხარისხის,სასარგებლო წვენები შეღავათიან ფასად. წარმატების მიზეზი იყო შეფუთვის და მარკეტინგის გააზრებული პოლიტიკის გატარება. Vitmark–ის საშუალებით სრულ განაკვეთზე დასაქმებულია 2,600 ადგილობრივი თანამშრომელი უკრაინის შედარებით ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებში. გარდა ამისა, შემოსავლის მიღების შესაძლებლობა აქვს ხილის და ბოსტნეულის მწარმოებელ 2,500 ადგილობრივ მცირე მეურნეს.

განვიხილოთ ინკლუზიური ბიზნეს მოდელის კიდევ ერთი წარმატებული მაგალითი, რომელიც ფუნქციონირებს ტაჯიკეთში - „Tojiksodirotbonk“(TSB). ამ ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება თავის საქმიანობაში ჩაერთო ბაზრის ახალი და აუთვისებელი სეგმენტები, თან ამავე დროს მეტად მრავალრიცხოვანი ჯგუფი და 2007-2009 წლებში სესხების სახით 4.2 მილიონი აშშ დოლარი გასცა 150 მცირე ზომის ფერმერზე, რამაც ასარგებლა ბამბის მეურნეობაში ჩართული 8400–ზე მეტი ადამიანი.

მოლდოვაში დღესაც ფუნქციონირებს მიკრო–საფინანსო ორგანიზაცია - **„რეგიონალური საფინანსო კორპორაცია“** (RFC), რომლის სუფთა მოგებამ 2008 წელს 1.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მასზე მოდის სექტორის მოგების 29%, ბაზრის წილი - 25%. **რეგიონის ფერმერებსა და მეწარმეებს** სთავაზობს ფინანსურ მომსახურებას ხელსაყრელი პირობებით, რითაც ხელს უწყობს რეგიონის განვითარებას.

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ინკლუზიური ბიზნესი ორიენტირებულია რეგიონების განვითარებაზე და მრავალმხრივი დადებითი თვისებები გააჩნიათ, კერძოდ:

• ინკლუზიური ბიზნესის მოდელები სასარგებლოა არა მხოლოდ კომპანიებისთვის, არამედ, ისინი მნიშვნელოვანია ორგანიზაციებისთვისაც, რომლებიც მუშაობენ დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანების პერსპექტივების გაუმჯობესებაზე;

• მოდელი ფინანსურად მდგრადია, ქმნის არჩევანის შესაძლებლობას და აძლევს საშუალებას ამ ადამიანებს _ ჩართული იყვნენ ბიზნეს ღირებულების შექმნის ჯაჭვში მეწარმის, მუშაკის ან მომხმარებლის სახით;

• დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანები ბიზნეს მოდელში ჩართვით იღებენ შესაძლებლობას გაზარდონ შემოსავალი, დაიკმაყოფილონ ძირითადი საჭიროებები და გააუმჯობესონ პროდუქტიულობა.

• ინკლუზიურ ბიზნეს მოდელებს შეუძლია გააუმჯობესოს ბიზნესის კონკურენტუნარიანობა, რადგანაც დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბიზნესში ჩართვას კომპანიებისთვის მოაქვს შემდეგი სარგებელი: კლიენტურის გაზრდა, სამუშაო ძალის გაფართოება და მიწოდების და რეალიზაციის არხების გაძლიერება;

• და ბოლოს, ინკლუზიურ ბიზნესში ქალების აქტიურ ჩართულობას აქვს ადგილი, დღეს ისინი, უმეტეს შემთხვევაში, გარიყულები არიან ბაზრიდან, მაშინ როცა მათ გააჩნიათ სპეციალიზებული მომზადება და ცოდნა იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანონ ბიზნესში ღირებულების შექმნის ჯაჭვში.

ნათელია, რომ ინკლუზიური ბიზნეს მოდელი ჩვენი ქვეყნის რეგიონული განვითარების ერთ-ერთ რეალურ გზას წარმოადგენს, მაგრამ საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს მოდელების ფორმირება-ფუნქციონირებას ხელს უშლის შემდეგი ფაქტორები - **ინფორმაციული ვაკუუმი, აღნიშნულისადმი კომერციული ბანკების ინერტულობა, არაეფექტური მარეგულირებელი ორგანო, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, პროფესიული ცოდნის ნაკლებობა და საფინანსო სამსახურების შეზღუდული ხელმისაწვდომობა.**

რაც შეეხება მწვანე ბიზნესს - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, ხორციელდება პროექტი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, კერძო სექტორს მისცეს არსებული მწვანე ბიზნეს-შესაძლებლობების გამოყენების შესაძლებლობა და აქციოს ისინი მომგებიან საქმიანობად, რომლებიც მდგრად პრაქტიკას დაეფუძნება და რომელთა შედეგები წვლილს შეიტანს მდგრად განვითარებაში. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მწვანე ბიზნესის ფორმირება-ფუნქციონირება ისევ იდეების დონეზეა, ადგილი ქონდა რამდენიმე ბანკის მიერ ენერგოკრედიტების შემოთავაზებას (სს „თიბისი ბანკი“, სს „ბანკი რესპუბლიკა“ და სს „საქართველოს ბანკი“), რომელიც ითვალისწინებდა ენერგოეფექტური ბიზნესის დაფინანსებას, მაგრამ იმდენად ძვირი აღმოჩნდა აღნიშნული კრედიტი ქართველებისვის, რომ გაცემული სესხების მოცულობამ მხოლოდ 5 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ფაქტია, რომ მწვანე ბიზნესის განვითარების ამჟამინდელი ტემპი განპირობებულია სულ ცოტა სამი ფაქტორით: **ადგილობრივ ბიზნეს-წრეებში მწვანე ეკონომიკაში არსებული კომერციული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციულობის დაბალი დონე, აშკარა დეფიციტი ინფორმაციის ნაკლებობის თვალსაზრისით მწვანე სექტორისა და მდგრადი ბიზნეს-**

პრაქტიკის კომერციულ ფასეულობასა და პოტენციურ ფინანსურ სარგებელზე, მდგრად ბიზნეს-პრაქტიკასა და მრეწველობასთან დაკავშირებული ნოუ-ჰაუს და შესაბამისი ტექნოლოგიების დეფიციტი.

მიზეზი მეორე, ბიზნეს იდეის დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემის წარმოშობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული, საკმაოდ მკაცრი, საკრედიტო პოლიტიკა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება ხდება კომერციული ბანკების მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე და ორიენტირებულია მაქსიმალური მოგების მიღებაზე, ხოლო მსესხებლების უფლებები და მოვალეობები ასახულია მხოლოდ საკრედიტო ხელშეკრულებაში, რომელიც საკმაოდ ბუნდოვანია.

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, საკრედიტო პოლიტიკა უნდა იყოს მორგებული ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე და ქვეყნის მოსახლეობაზე, როგორც პოტენციურ მომხმარებლებზე. თუმცა, არც ერთი არ არის გათვალისწინებული მოქმედი საკრედიტო პოლიტიკით.

ამიტომ, მიზანშეწონილია ბანკებმა საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების დროს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ ბიზნეს ედეების მქონე პოტენციური მსესხებლების დაფინანსებაზე, კერძოდ:

- **კომერციულმა ბანკებმა სესხი გასცენ მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში მსესხებლისათვის სავალუტო რისკების შემცირების მიზნით;**
- **მსესხებელს მიეცეს საშეღავათო პერიოდი, თუნდაც 2 თვე;**
- **საპროცენტო განაკვეთი განისაზღვროს ბანკის ლიკვიდობიდან ან რეფინანსირებისა და ერთდღიანი სესხების საპროცენტო განაკვეთებიდან გამომდინარე.**

ჩამოთვლილთაგან საყურადღებოა მესამე პუნქტი - **საპროცენტო განაკვეთები.** ცნობილია, რომ კომერციული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს **„იაფად ყიდვა და ძვირად გაყიდვა“.** ბანკი დღეს იაფად ყიდულობს ფულს შემდეგი გზებით:

- **ანაბრებისა და დეპოზიტების სახით ფიზიკური და იურიდიული პირებიდან;**
- **რეფინანსირების სესხებს ეროვნული ბანკიდან;**
- **ერთდღიან სესხებს ეროვნული ბანკიდან**

„ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტებთან ერთად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.4 პროცენტი შეადგენა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 12.0 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 7.4 პროცენტი. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის მონაცემებით საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2013 წლის პირველი აპრილისთვის 8.0 მლრდ ლარს მიაღწია, რაც 75.7 მლნ ლარით, ანუ 1.0 პროცენტით მეტია მიმდინარე წლის პირველი მარტისთვის არსებულ მაჩვენებელზე. მარტში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა მოთხოვნამდე დეპოზიტების შემცირებას 7.8 მლნ ლარით, ანუ 0.2 პროცენტით და ვადიანი დეპოზიტების ზრდას - 83.5 მლნ ლარით ანუ 1.9 პროცენტით [http://www.nbg.ge/index.php?m=339&n&newsid=2129]. ჩანს, რომ ვადიანი დეპოზიტების მოცულობა იზრდება, რაც მეტყველებს ლიკვიდობის არსებობაზე და შესაძლებელია ბანკების უმრავლესობას სესხის აღება არც ჭირდებათ.

გარდა დეპოზიტებისა, კომერციულ ბანკებს აქვთ შესანიშნავი შანსი ფულის იაფად ყიდვის - რეფინანსირებისა და ერთდღიანი სესხების სახით. რეფინანსირების სესხი წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს,



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი - http://www.nbg.gov.ge/index.php?m=556

რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკებისთვის ფულადი რესურსის მიწოდებას საბანკო სისტემაში მოკლევადიანი ლიკვიდობის მართვისა და ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მიზნით. აღნიშნული ინსტრუმენტი საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2008 წლის სექტემბრიდან აამოქმედა.

გამომდინარე აქედან, რეფინანსირების ინსტრუმენტის მიზანია ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მართვა. ეროვნული ბანკი არის ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელი _ ამდენად, მას აქვს საშუალება რეფინანსირების ინსტრუმენტით მიაღწიოს ბანკთაშორის ბაზარზე სასურველ საპროცენტო განაკვეთს. ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფის მიერ ყოველკვირეულად ხდება საბანკო სისტემაში მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტის შეფასება, რომლის საფუძველზეც ხდება აუქციონის გამოცხადება რეფინანსირების სესხების კონკრეტულ თანხაზე. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი კი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უტოლდება. აღნიშნულ აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ კომერციულ ბანკს, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ სესხის გირაოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახელმწიფო ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ობლიგაციები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები და ბანკების სასესხო აქტივები. მაგალითად, 2013 წლის 25 აპრილს, ეროვნული ბანკის 7-დღიან რეფინანსირების სესხების აუქციონზე 260 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების სესხი გაიცა. სესხის განაცხადი დაუკმაყოფილდა სამ კომერციულ ბანკს და მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 4.50 %, მაქსიმალური - 4.62%, ხოლო საშუალო შეწონილი - 4.51%-ით განისაზღვრა[http://www.nbg.ge/index.php?m=339&n&newsid=2128]. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის აპრილიდან აამოქმედა ახალი ინსტრუმენტი მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხი. აღნიშნული ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს საშუალება აქვთ მიიღონ სესხი გარანტირებულად, აუქციონის გარეშე. საპროცენტო განაკვეთი მუდმივმოქმედ რეფინანსირების სესხზე განისაზღვრება, როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს ერთი პროცენტული პუნქტი.

რაც შეეხება ერთდღიან სესხებს, ის წარმოადგენს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მუდმივმოქმედ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ზედა ზღვრის რეგულირებას. ერთდღიანი სესხი გაიცემა კომერციულ ბანკებზე შესაბამისი უზრუნველყოფის საფუძველზე. სესხის უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები და ბანკების სასესხო აქტივები. სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვა ხდება საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე. ერთდღიან სესხზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს ერთნახევარი პროცენტული პუნქტი. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 25 აპრილის მონაცემებით 4,50%-ს შეადგენს, როცა ის 2008 წლის სექტემბერში 10%-ს შეადგენდა (იხ. გრაფიკი №1).

მიზეზი მესამე, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს **„თავდებობის ინსტიტუტი“**, ანუ საქართველოში როგორც სახელმწიფო ორგანოები, ისე კერძო პირები თავს იკავებენ თავდებობისგან, სამწუხაროდ არავის არ სურს **„ზედმეტი ტვირთის აკიდება“**, რადგანაც იციან, რომ თავდებობა მათთვის მრთლზომიერ რისკს წარმოადგენს. ბიზნეს იდეების დაფინანსების შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ ბანკს ნამდვილად შეუძლია პოტენციურ მსესხებელს

დაუდგეს თავდებად თუნდაც მის განკარგულებაში არსებული საერთაშორისო რეზერვების ხარჯზე, აღნიშნულის ფლობისა და განკარგვის უფლება ხომ ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციაა. ასევე, მის თავდებობის ქვეშ მყოფ მსესხებელს გაუწიოს რეკომენდაციები სესხის მიზნობრიობის პრინციპის დასაცავად და ბიზნესის გონივრული მართვის მიზნით. აღნიშნული ეროვნულ ბანკს თავიდან ააცილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 249-ე მუხლით გათვალისწინებულ „სასჯელს" და მისი თავდებობის ქვეშ მყოფი ბიზნესიც წარმატებული გახდება.

მაშასადამე, საქართველოში ახალი ბაზრების შესაქმნელად და დასაქმების პრობლემის დასაძლევად მიზანშეწონილია მთავრობამ, შესაბამისმა სამინისტროებმა, საქართველოს ერვნულმა ბანკმა და კომერციულმა ბანკებმა ერთობლივად ააწყონ **„მოზაიკური სურათი"**, კერძოდ:

1. მთავრობამ და შესაბამისმა სამინისტროებმა პრიორიტეტად დაისახონ ინკლუზიური და მწვანე ბიზნესის ფორმირება-ფუნქციონირება;

2. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თავის თავზე აიღოს ინტელექტუალური კაპიტალის რეალიზების მექანიზმების შემუშავება და გატარება, ბიზნეს იდეების მქონე პირებს დაუდგეს თავდებად და ბიზნესის წარმატებით განსახორციელების მიზნით გაუწიოს კონსულტაციები, მისცეს რეკომენდაციები;

3. კომერციულმა ბანკებმა სესხი გასცენ მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში მსესხებლისთვის სავალუტო რისკების შემცირების მიზნით;

4. მსესხებელს მიცეს საშეღავათო პერიოდი, თუნდაც 2 თვე;

5. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვროს ბანკის ლიკვიდობიდან ან რეფინანსირებისა და ერთდღიანი სესხების საპროცენტო განაკვეთებიდან გამომდინარე;

6. ბანკებმა შეღავათიანი კრედიტები გასცენ ინკლუზიური და მწვანე ბიზნესის დასაფინანსებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კორი უდოვიჩკი - ბიზნესის მონაწილეობა სიღარიბის პრობლემის გადაწყვეტაში (გაეროს ათასწლეულის განვითარების პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები), 2010 წ;
2. ნატო კირვალიძე, ზაალ ლომთაძე - მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს ორგანიზაციებისათვის, (შავი და კასპიის ზღვების ბიზნეს კონფედერაციების კავშირის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები), 2011 წ;
3. ნანა შონია - აწსუ „ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის" სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან ერთად ჩატარებული კვლევის შედეგები, ქუთაისი 2012 წ
4. http://taripebi.ge
5. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=556
6. http://www.nbg.ge/index.php?m=339&n&newsid=2129
7. http://www.nbg.ge/index.php?m=339&n&newsid=2128

NANA SHONIA
Akaki Tsereteli State University
Associate Professor at Business Administration Department

PROBLEMS AND PERSPECTIVES OF FUNDING THE BUSINESS IDEA

The research performed with the MBA students has revealed that business idea in Georgia is doomed from the beginning. "The mosaic pebbles" that are used to build a new market are chaotically scattered. The government and the central bank do not do much to create the working places. Commercial banks refuse to fund a business idea because of the high degree of risk. The credit policy is not oriented on the potential borrower with business ideas. They don't take into account the intellectual and the financial capital of citizens.

To solve the problems we think that the government, Ministry of Economy and Sustainable Development, National Bank of Georgia and Commercial Banks should form such kind of "Mosaic Picture" where every pebble will have its own place, in particular: the government and the relevant ministries should set priorities to form and function inclusive and green business. National Bank of Georgia should take over the mechanisms to implement the intellectual capital and give recommendations. Commercial banks should issue loans only to borrowers in the national currency in order to reduce currency risks; give the borrower a grace period, at least 2 months; the interest rate should be determined according to the bank liquidity or refinancing and interest rates based on one-day loans; Banks should also give cheap loans to finance inclusive and green business.

მევახშეთა ზეობა, ანუ, რატომ არის ჩვენთან ჯერ კიდევ ველური კაპიტალიზმი

ისევე, როგორც ადამიანთა უმრავლესობისთვის სრულიად უცნობია, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ადამიანის ორგანიზმში (რომ არაფერი ვთქვათ ამ პროცესების მიმდინარეობის მექანიზმების შესახებ), ადამიანთა კიდევ უფრო მეტი რაოდენობისათვის, უფრო მეტი ბურუსით არის მოცული საბანკო სფეროში მიმდინარე პროცესების რაობა. ანუ, ადამიანთა უდიდესი უმრავლესობისთვის უცნობია, თუ რა პროცესები მიმდინარეობს აქ და რამდენად უწყობს ხელს ეს სფერო ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. და, ეს მხოლოდ იმით კი არ არის გამოწვეული, რომ საბანკო სფეროში მიმდინარე პროცესები ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებივით ურთულესია, არამედ იმითაც, რომ ეს პროცესები საზოგადოებისათვის ისევე დახურულია, როგორც ნებისმიერი ქვეყნის უშიშროების სამსახურის საქმიანობა.

თამაზ აქუბარდია,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ის, რომ ეკონომიკის ამ ბურუსით მოცულმა სფერომ (როგორც ჩანს, არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მსოფლიო საზოგადოებისთვისაც), მსოფლიო საფინანსო კრიზისის პროვოცირება გამოიწვია, ეს უკვე ოფიციალურად დადასტურებული ფაქტია.

ის, რომ მსოფლიოს საბანკო სფეროში მიმდინარე პროცესების მოსალოდნელი შედეგების შესახებ, ჩვენთან არც არაფერი იცოდნენ და, არც არაფერს ფიქრობდნენ, იქიდანაც ჩანს, რომ ერთ-ერთმა საკმაოდ წარმატებულმა ბანკირმა, ამერიკაში მიმდინარე საფინანსო კრიზისის კულიმინაციის პერიოდში, იმავე ამერიკაში, ცხადია ინგლისურ ენაზე, გამოსცა წიგნი საბანკო სფეროს, როგორც ერთ-ერთი წარმატებული სფეროს, განვითარების პერსპექტივების შესახებ.

დაახლოებით ამავე პერიოდში, ან ცოტათი უფრო ადრე, ჩვენმა ბანკირებმა დაიწყეს საბანკო წილების უცხოელ პარტნიორებზე მიყიდვის პერმანენტული პროცესი, ოფიციალურად ინვესტორების შემოყვანის მოტივით, ხოლო რეალურად, უნდა ვიფიქროთ, ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსნის ხელყოფისაგან, თავიანთი ბიზნესის გადასარჩენად.

თუ დავეთანხმებით ეკონომიკურ თეორიაში მიღებულ თეზას, რომ საბანკო სფერო, საფინანსო სფეროსთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების სისხლძარღვთა სისტემას წარმოადგენს, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს საბანკო სისტემას ჰიპერტონიული კრიზი თუ არა, მკვეთრად გამოხატული ჰიპერტონია აქვს, რაც ნებისმიერ დროს (ეს დრო კი, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, მავანთა და მავანთა მიერ მათემატიკური სიზუსტით იქნება შერჩეული), შეიძლება ჰიპერტონიულ კრიზში გადაიზარდოს.

ის, რომ ჩვენი ნათქვამი ლიტონი სიტყვები არ არის, ალბათ საკმარისია მსოფლიო საფინანსო კრიზისის წარმოქმნის ოფიციალური ვერსიის გახსენებაც.

არ შეიძლება მთელ მსოფლიოში საპროცენტო განაკვეთის წლიური სიდიდე 6-8 პროცენტის ფარგლებში მერყეობდეს, ხოლო ჩვენთან არავითარი პერსპექტივაც კი არ არსებობდეს იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთი როდესმე მაინც ამ სიდიდემდე დავა. ის არგუმენტები, რაც ბანკებს საპროცენტო განაკვეთის დღეს არსებული სიდიდის გასამართლებლად მოჰყავთ, იმდენადვე უსუსურია, რამდენადაც უსინდისო.

თუმცა, ეს კიდევ არ არის მთელი უბედურება. რამდენადაც ბანკები, გარდა იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთის სიდიდეს დაბლა არ წევენ, კრედიტებს არ გასცემენ საკმარისი ხელფასისა და შესაბამისი ქონებრივი უზრუნველყოფის გარეშე, გამოჩნდნენ ენერგიული ადამიანები, რომლებიც ბანკების ამ შეზღუდვებით ძალიან კარგად ისარგებლეს და, რამდენადაც 2008 წლის აგვისტოს სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ, ძალიან ბევრ ჩვენს თანამემამულეს კრედიტების „არ გადახდების" გამო, შეიძლება ითქვას, - „ბართლომეს ღამე" გაუთენდა, დააფუძნეს ე.წ. საშუამავლი ფირმები, რომლებიც კრედიტებს გასცემენ გაცილებით უფრო „ადვილად", ვიდრე ბანკები, მაგრამ იმდენად დიდი საპროცენტო განაკვეთით, რომ ეს უკვე სცილდება ყოველგვარ ეკონომიკურ, გნებავთ, სოციალურ (მითუმეტეს, მორალურ) ნორმებს.

ცხადია, ასეთი ზღვარგადასული უსინდისობა, ხელისუფლების ზოგიერთი გაუკუღმართებული ტვინის მქონე ჩინოვნიკის ხელშეწყობის გარეშე ვერ მოხდებოდა და სქემაც ამუშავდა. ამ სქემაში აქტიურად მინაწილეობენ ე. წ. „თავისუფალი პროფესიის" ადამიანები, რომელთა

პროფესიის თავისუფლება პირადად ჩვენ ძალზე საკამათოდ მიგვაჩნია. ესენი, არც მეტი, არც ნაკლები, ნოტარიუსები იყვნენ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, „ უბრახუნებენ" გერბიან ბეჭედებს ხელშეკრულებებზე, რომლის ყოველი დარტყმა, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს უსუსურობის აღიარება ნიშნავდა, იმის უტყვი თანხმობაც იყო, რომ „ჩვენს შემდეგ თუნდაც ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა", - თითქოს საფრანგეთის „მეფე მზის", ლუი XIV-ის სიტყვების პრაქტიკული რეალიზაცია ხდებოდეს. არადა საქმე სწორედ აქეთკენ მიდიოდა.

ჩვენი ნათქვამი რომ მხოლოდ დეკლარაციის დონეზე არ დარჩეს, შევეცდებით აღვწეროთ ის მექანიზმი, რომლითაც, ხელისუფლების რიგი ჩინოვნიკების მხრიდან ჩუმი თანხმობითა, თუ ფარული მხარდაჭერით, ქართველთა მიზანმიმართული გაკოტრებისა და გაუბედურების პროცესები მიმდინარეობდა.

ვინაიდან 2008 წლის ომის შემდგომ, ძალიან ბევრი ადამიანის ბიზნეს-ინტერესები დაზარალდა და, თუნდაც ტურისტული სეზონის ჩავარდნის გამო, ძალიან ბევრ ჩვენს თანამემამულეს, აღებული კრედიტების გადახდა პრობლემატური გაუხდა, ბევრმა მათგანმა კრედიტების აღების სწორედ ამ იძულებით ფორმას მიმართა, ანუ მათ ბანკებიდან კრედიტების აღების შეუძლებლობის გამო, მიმართეს კრედიტების აღების სწორედ იმ ფორმას, რომელსაც ე.წ. „საშუამავლო ფირმები" გასცემდნენ წარმოუდგენლად მაღალი საპროცენტო განაკვეთით, რომლის სიდიდის შესახებაც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ამ სესხების არ გასტუმრება და სუიციდის ისეთი ფორმებით სიცოცხლის დამთავრება ემუქრებოდათ, როგორიცაა: მრავალსართულიანი სახლების სახურავებიდან გადმოვარდნა, მტკვარში ხიდიდან გადახტომა და ა.შ.

ამგვარად, ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, ბევრი ჩვენი თანამემამულე იძულებული გახდა აეღო ნებისმიერ პროცენტიანი სესხი და, რადგანაც ბანკები ყველას არ აძლევენ სესხს (ჩვენ ქვემოთ აუცილებლად ვიტყვით იმ ეჭვების შესახებ, რაც ამასთან დაკავშირებით გაგვიჩნდა), ამიტომ გამოჩნდნენ ე.წ. „კეთილი ადამიანები", რომლებიც იძლეოდნენ იპოთეკურ სესხებს თვიური 5-6 პროცენტით, ამასთან თვითონ შუამავლებს მიჰქონდათ მთლიანი თანხის 5 პროცენტი, ცალკე კიდევ ნოტარიუსის მომსახურება, რომელიც „თავისუფალი პროფესიის" წარმომადგენლებს რომ ეკადრება, ისეთ თანხას იღებდნენ და . . .

საბოლოოდ, როგორც ირკვევა, ადამიანი განწირული იყო. და აი, ამ განწირულ ადამიანს „სიკვდილი რომ გაადვილებოდა", საკანონმდებლო დონეზე მიიღეს ცვლილება, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების გვერდის ავლით, ე.წ. „საღსრულებლო ფურცლით", ქონება პირდაპირ იყიდებოდა აუქციონზე. აქ კი პროცესებში ერთვებოდნენ უკვე ზემოთ დასახელებული „ენერგიული ადამიანები" და, ეს იპოთეკით დატვირთული ქონება, რომელიც პირველ აუქციონზე, როგორც წესი ვერ (თუ არ) იყიდებოდა,უკვე მეორე აუქციონზე იგივე ქონება, უკეთეს შემთხვევაში, ნახევარ ფასად თუ გაიყიდებოდა და, როგორც წესი, ამ ქონებას ეს ზემოთხსენებული „ადამიანები" ყიდულობდნენ.დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, უკვე მხოლოდ ტექნიკის საქმე იყო. ამ ქონებას ან დაიტოვებდნენ, ან აუჩქარებლად, დინჯად გაყიდდნენ სათანადო ფასად.

ფულის კეთების ეს გზა, რამდენადაც აღტაცებას იწვევს თავისი გამომგონებლობით, იმდენადვე აღშფოთების მომგვრელია თავისი სრული უსულგულობითა დ,ა მხოლოდ ველური კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი, თავისი უაპელაციობით.

თუ ისევ მეტაფორას გამოვიყენებთ, ბანკებს, რომლებიც დამკვიდრებული ტრადიციით, ეკონომიკის სისხლძარღვთა სისტემას წარმოადგენენ, ძალე სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა, ამ ე.წ. „წვრილ სისხლძარღვთა სისტემის" სახით, და, რამდენადაც სისხლძარღვთა სისტემა, მიუხედავად მისი სიდიდისა, ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ბანკები ამ პროცესებში ან არაპირდაპირ მონაწილეობდნენ, ე.წ. „უსახელო ფირმების" სახით, ან ამ პროცესებში მათ უბრალოდ მონაწილეობის უფლებას

არ აძლევდნენ. სხვა ახსნა, ბანკების შინაგანად დამახასიათებელი მომხვეჭელობის ბუნებიდან გამომდინარე, უბრალოდ არ არსებობს.

ახლა მოდით ამ არაადამიანურ ურთიერთობების სამართლებლივ მხარესაც შევხედოთ.

რატომ იძლევიან სესხებს ეს, ე.წ. „საშუამავლო ფირმები", იმ ადამიანებზე, რომლებზედაც ბანკები სესხებს არ იძლევიან? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბანკები გარკვეულ პირობებს უყენებენ კრედიტის აღების მსურველებს ხელფასთან და საკრედიტო ისტორიასთან დაკავშირებით, რასაც მათ, გარდა იმისა, რომ საკანონმდებლო ნორმები ავალდებულებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთებაც ზღუდავს.

მაშასადამე, ამ საშუამავლო ფირმებმა კარგად იციან, რომ კრედიტის არდაბრუნების ალბათობა საკმაოდ დიდია, და თითქოს გაუგებარი უნდა იყოს, რატომ მიდიან ისინი ასეთ რისკზე. მაგრამ აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც, რაც უფრო დიდია არდაბრუნების რისკი, მით უფრო მოგებული რჩება ფირმა. მიზეზი რამდენადაც მარტივია, - შედეგის თვალსაზრისით, იმდენადვე ამორალური.

მართლაც, იპოთეკა უკეთეს შემთხვევაში მისი საბაზრო ღირებულების 50 პროცენტითაა დატვირთული. ამდენად, თუ სესხის ამღები კრედიტს ვერ დაფარავს, და ამასთან, რადგანაც იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე გატანა პროცედურულად გამარტივებულია, თუნდაც იმიტომ, რომ საკანონმდებლო ცვლილებით ამას სასამართლოს გადაწყვეტილება აღარ სჭირდება, მას ამ ქონებას ხელაღებით უყიდიან. ამასთან, როგორც ვხედავთ, ეს ქონება საბოლოოდ მეოთხედ ფასში თუ გაიყიდება, რაც ხშირ შემთხვევაში კრედიტსაც ვერ ფარავს და ამიტომ, ისედაც გაუბედურებულ ადამიანს უყიდიან ყველაფერს, რისი გაყიდვაც კი შეიძლება, - სახლს, ავეჯს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას და საერთოდ ყველაფერს.

ახლა მინდა დავსვა რიტორიკული კითხვა: - რამდენად ჯდება ასეთი ქმედება, გნებავთ კონსტიტუციის და გნებავთ სამოქალაქო კოდექსის ნორმებში? ნებისმიერი ქვეყნის, თვით ყველაზე ავტორიტარული ქვეყნის, კონსტიტუციით, ადამიანი, მისი სიცოცხლე, უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს. კონსტიტუციიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსშიც უნდა იყოს ნორმები, რომელიც არა მარტო ცალკეულ ადამიანს, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც, უზრუნველყოფს გარანტირებული საარსებო გარემოს მინიმალური დონით მაინც. ეს საარსებო მინიმუმი ცხადია მოიცავს საცხოვრებელს, - სულ მცირე, სანიტარულად დადგენილი ნორმის ფარგლებში, ავეჯს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას, ტანსაცმელს და, რაც მთავარია, შემოსავლების ის მინიმალურ რაოდენობას, რომელიც ოჯახის წევრებს უნდა დარჩეს საარსებოდ.

ჩვენს ჩემთხვევაში კი რა გამოდის? ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ აღებული, პრაქტიკულად დაუბრუნებელი სესხის გამო, მთელი ოჯახი რჩება ყოველგვარი სახსრების გარეშე და ამას ხელისუფლება არა თუ გულხელდაკრეფილი უყურებს, არამედ, ყველანაირად ხელს უწყობს კიდეც. ეს მხოლოდ ველური კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი პროცესებია, რომელიც ამერიკამ თითქმის ორი საუკუნის უკან განვლო. უფრო მეტიც, ეს რასობრივი სეგრეგაციის მსგავსი პროცესებია, რომლის მიზანია საზოგადოების კიდევ უფრო ღრმა პოლარიზაცია.

თუკი სტატისტიკურად, ამ კაბალური პირობების გაცემის ფასად, თუნდაც მეოთხედი კრედიტებისა მაინც ვერ დაბრუნდება, ასეთი ალბათობით სესხების გაცემა ანტისაზოგადოებრივ ქმედებად უნდა ჩაითვალოს. მართლაც, ერთი წუთით მაინც წარმოვიდგინოთ, ბედის ანაბარად მიტოვებული საზოგადოების წევრები, რომელთაც ჩვენ არჩევანს აღარ ვუტოვებთ და თუკი ისინი დღეს ჯერ-ჯერობით სხვას ვერაფერს აკეთებენ, გარდა იმისა, რომ საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენს უტანენ, აუცილებლად დადგება დღე, რომლის შესახებაც ორი საუკუნის წინ სთქვა შესანიშნავმა ქართველმა პოეტმა-რომანტიკოსმა:

რომელნიც ამწარებთ
ხალხის ცხოვრებას,
და სთხოვთ უსამართლოდ,
ურცხვად მონებას,
მოელოდეთ მათგან
თანასწორობას,
არ მარადის შვათ,
მდაბალთ ჩაგვრით,
მტაცებლობით და ხვეჭით.

აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში

ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მყარ საფუძველს ქმნის ძლიერი და მაღალეფექტიანად ფუნქციონირებადი აგრობიზნესი. ამიტომ მისი მდგრადი განვითარების სათანადო სახელმწიფოებრივ მხარდაჭერასა და სტიმულირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მოქნილი სისტემის ქმედითი გამოყენებით, თვითრეგულირებისა და რეგულირების მექანიზმების ოპტიმალური შეთანაწყობით. ამ მიზნით ათვისებულ უნდა იქნეს განვითარებულ ქვეყნებში მწარმოებელთა მხარდაჭერის აპრობირებული ფორმები და მეთოდები იმ ზომით და ფარგლებში, რაც დაშვებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დოკუმენტებით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებითა და წესდებით, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით.



ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, შესაბამისი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის ფარგლებში, შესაძლებლობათა არსებობის კვალობაზე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერის, აგრობიზნესით დაკავებულთა შემოსავლების სტაბილურობის უზრუნველყოფის, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები, რომელთა დაფინანსება განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

აგრობიზენსის საბაზრო რეგულირების მექანიზმში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფასები და ფასწარმოქმნის პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე. ფასები, ერთი მხრივ, ასტიმულირებენ მიწოდების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, გავლენას ახდენენ მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნაზე, მისთვის მეტად ან ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდიან სასურსათო საქონელს.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე ფასწარმოქმნის მკვეთრი სახელმწიფოებრივი კონცეფციის შემუშავება და გატარება. ასეთი კონცეფცია გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე გარანტირებულ, ხოლო სურსათზე კი — ზღვრული საბაზრო ფასების დადგენას. ასეთმა ფასმა უნდა დაფაროს წარმოების დანახარჯები და უზრუნველყოს გაფართოებული კვლავწარმოების პირობები.

ქვეყნის აგრობიზნესის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის სათანადო საბიუჯეტო დაფინანსებას. **დღეისათვის აგრობიზნესის დარგთა საბიუჯეტო დაფინანსება ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში წარმოების სტაბილურობას; გამოყოფილი საბიუჯეტო საშუალებები აშკარად არასაკმარისია სასურსათო მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის**.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია აგრობიზნესის მიმართ გატარებული საფინანსო პოლიტიკის გარდაქმნა, საბიუჯეტო საშუალებათა ძირითადი ნაწილის მიმართვა ცენტრალური და რეგიონული მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების დაფინანსებაზე. აგრობიზნესის ფინანსური მხარდაჭერა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით: საბიუჯეტო ასიგნებანი მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებზე; კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება; დოტაციები პროდუქციასა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე; ასიგნებანი დაზღვევაზე; ბანკების სესხების ნაწილობრივი კომპენსაცია.

საგულისხმოა, რომ **აგრობიზნესის სამეურნეო სუბიექტების დაკრედიტების დღეისათვის მოქმედი სისტემა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ახალ ეკონომიკურ გარემოში მყოფი ქვეყნის აგროსასურსათო მეურნეობის საკრედიტო მოთხოვნებს.** აღნიშნული ვაკუუუმის შესავსებად საჭიროა დროებითი,

მეტნაკლებად ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება აგრობიზნესის საკრედიტო რესურსებით უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე პირობებში ობიექტურად უნდა განისაზღვროს კრედიტების განთავსების წესი; შემუშავდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამის კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობათა პრინციპები, თანამშრომლობის მექანიზმები. საჭიროა, სეზონურ დაკრედიტებასთან ერთად, ფართოდ იქნეს გამოყენებული გრძელვადიანი დაკრედიტების ისეთი სპეციფიკური ფორმა, როგორიცაა: **ლიზინგი**. ეს უკანასკნელი დიდ როლს შეასრულებს მოწყობილობათა ტექნოლოგიური მოძველებისგან დაცვაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებულ უნდა იქნეს საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც საჭიროებს მოსალოდნელი ნეგატიური გამოვლინებებისგან დაზღვევის წინასწარი კონტროლის გაძლიერებას გრძელვადიან პერსპექტივაში, კონკურენტული საკრედიტო ბაზრის ჩამოყალიბების კვალობაზე, რაც ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს. ამასთან, ინტენსიურად უნდა წარიმართოს აგრობიზნესის თვითდაკრედიტების სისტემის ფორმირება, საწყის ეტაპზე სასოფლო საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებით, შემდგომში კი — ეტაპობრივად ამ კავშირების რეგიონული ასოციაციების, და საბოლოოდ, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი სასოფლო დაკრედიტების კოოპერაციული ორგანიზაციის შექმნით.

ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარება და ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული სადაზღვეო სისტემის მწყობრ და გამართულ მუშაობაზე. ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოში 1991 წლიდან გაუქმებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სახელმწიფო დაზღვევა და ეს ფუნქცია გადაეცა კერძო სადაზღვევო კომპანიებს. **ამჟამად ფერმერული მეურნეობები არც თუ ისე ხალისით მონაწილეობენ კომერციულ დაზღვევაში ფულადი საშუალების უკმარისობის, სადაზღვევო შენატანების მეტისმეტად მაღალი განაკვეთებისა და არახელსაყრელი სადაზღვევო პირობების გამო.**



ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთიანი სახელმწიფო-კომერციული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება, სა-დაზღვევო გასაცემლებში ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე. ამასთან, აუცილებელია დამკვიდრდეს სავალდებულო დაზღვევა, უწინარეს ყოვლისა, სარისკო წარმეობაში, სადაზღვევო ბაზარზე შესაბამისი კერძო კომპანიებისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნით. სადაზღვევო საქმის განვითარება უნდა გახდეს გრძელვადიანი ინვესტირებისათვის შინაგანი დანაზოგების წარმართვის მნიშვნელოვანი საფინანსო არხი.

ზოგადად, აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მიზანი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: **სამამულო წარმოების ხარისხიანი სასურსათო პროდუქტებით მომხმარებელთა გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესაბამისი დონის ფასების მიხედვით ეფექტიანი, ეკონომიკურად მისაღები მომარაგებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა.** ასეთი პირობები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სასურსათო ბაზრის მთავარი კომპონენტების – მიწოდებისა და მოთხოვნის დავალანსებისას.

აგრობიზნესის პროდუქციის მიწოდების მაკროეკონომიკური რეგულირების სისტემა მიმართულ უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევაზე: **აგრო-ბიზნესის მდგრადი განვითარებისათვის სტაბილური ეკონომიკური და სოციალური პირობების უზრუნველყოფა; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირება; მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხარისხიან სასურსათო პროდუქტებზე სოციალურად მისაღები ფასებით; სახელმწიფო და რეგიონული სა-სურსათო ბაზრების დაცვა საგარეო ბაზრის**

მხრიდან „ჩაგვრისაგან“, საბაზრო სივრცის ინტეგრირება; გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

ზემოაღნიშნული მიზნების მიაღწევად, აგრობიზნესის საქმიანობაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ძირითად მიმართულებებად წარმოგვიდგენია: **სახელმწიფო გარანტიები მწარმოებელთა მიერ სარეალიზაციოდ წარდგენილი მთელი სასურსათო პროდუქციის შეუფერხებელ შეძენაზე; სახელმწიფო გარანტიები მწარმოებელთა მიერ ჩაბარებული სასურსათო პროდუქციის ანაზღაურებაზე გარანტირებული, წინასწარ დათქმული ფასებით; სასურსათო პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რაციონალური გამოყენების ტექნოლოგიათა სრულყოფის დაფინანსება და შეღავათიანი დაკრედიტება.**

აგრობიზნესის საქმიანობაში ჩარევისთვის აუცილებელი მარაგების არსებობის შემთხვევაში თვით სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული რეზერვების დაგროვებით. იმავდროულად პროდუქციის შეძენის გარანტია განამტკიცებს მწარმოებელთა რწმენას, იცავს მათ გაკოტრებისგან, ასტიმულირებს წარმოების განვითარებას, რაც, საბოლოო ანგარიშში, იწვევს სასურსათო ბაზრის სტაბილურობას.

პერსპექტივაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროდუქციის გასაღებაზე სახელმწიფო გარანტიის რეალიზების შემდეგი ორი ფორმის გამოყენება:

- **საკონტრაქტო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს წლის დასაწყისში ხელშეკრულების გაფორმებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვაზე, ფიქსირებული დონის გარანტირებული ფასებით;**
- **სასურსათო პროდუქციის მიღება გირაოდ გარკვეული ვადით და ანგრიშწორებისას საგირავნო ფასების გამოყენება.**

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებელთა დაცვა მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ ნებასურვილით აირჩიონ საკუთარი პროდუქციის რეალიზების ფორმები, სახელმწიფო გარანტიების შემოთავაზებული სისტემა კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა რაციონალურ ტერიტორიულ გაადგილებას და ერთიანი საბაზრო სივრცის ფორმირებას.

ამასთან დაკავშირებით, **დღეისათვის არსებითად მოსაგვარებელია საკითხი პროდუქციის გასაღების სახელმწიფო გარანტიებზე ქვოტების შესახებ.** აგრობიზნესის ინტერესების თვალსაზრისით, პროდუქციის მიღების ნებისმიერი შეზღუდვა არასასურველია. იგი ასევე მიუღებელია სახელმწიფოებრივი პოზიციიდანაც, რამდენადაც ანელებს სახელმწიფო სასაქონლო მარაგების დაგროვების ტემპებს. თუმცა, ზოგიერთი სახეობის დოტირებული პროდუქციის მიხედვით ბიუჯეტურმა შესაძლებლობებმა შეიძლება მოითხოვოს შესაბამისი შემზღუდავი ქვოტების შემოღება. ამ შემთხვევაში აუცილებელია დავეყრდნოთ რეგიონული დიფერენციაციის პრინციპს, რომელიც ასახავს აგრობიზნესის დარგთა რაციონალური ტერიტორიული გაადგილების მოთხოვნებს.

შრომის ტერიტორიული დანაწილების გათვალისწინებით და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური პირობების საფუძველზე აგრობიზნესის სისტემაში მიწოდების სტიმულირებისთვის აუცილებელია: **საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის ერთიანი ფასწარმოქმნის სტრატეგია და მწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე ფასების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები.**

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, მიწოდების მხარდაჭერის პოლიტიკასთან ერთად, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მოთხოვნის მხარდაჭერასა და რეგულირებას, მომხმარებელთა შემოსავლების სტაბილიზაციისა და ამაღლებისთვის.

ფასების ლიბერალიზების შედეგად ქვეყანაში შექმნილი პარადოქსული სიტუაციის გათვალისწინებით, მთლიანად აგრობიზნესის მიხედვით, მოთხოვნის რეგულირების შესაძლო ვარიანტებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საცალო ფასების შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე. შესაძლოა საცალო ფასების შეზღუდვის შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- **სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ცალკეული სახეობის სასურსათო პროდუქტების**

გაყიდვა ფიქსირებული საცალო ფასებით;

- **ზოგიერთი სასურსათო პროდუქტის გაყიდვა რეალიზაციის ყველა არხის მიხედვით, ზღვრული საცალო ფასებით;**
- **სასურსათო პროდუქტების გაყიდვა „მცურავი" ფასებით (მათი მინიმალური და მაქსიმალური დონეების ფარგლებში);**
- **საცალო ფასების რეგულირება სასურსათო ბაზარზე ინტერვენციის გზით.**

აგრობიზნესის რეგულირების ზემოაღნიშნული მეთოდებიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებს ყველაზე მეტად შეესაბამება სასაქონლო ინტერვენციის მეთოდი. იგი შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნდეს ნორმალური კონკურენტული გარემო და კომპენსირდეს კონკრეტულ სიტუაციაში საბაზრო ინფრასტრუქტურების არასაკმარისი სიმტკიცე და მობილურობა. სასაქონლო ინტერვენციის დროული განხორციელებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს საკმარისი სასურსათო მარაგები.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და განზოგადება შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა: **საცალო ვაჭრობისა და მოხმარების დონის რეგულირება მეტად რთულია, ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საინტერვენციო მარაგებიდან (სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან) სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის წესებს. ისინი უნდა იყოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული,** სადაც აუცილებელია ჩაიდოს შემდეგი ძირითადი პირობები:

- **სახელმწიფოს მხრიდან სასაქონლო ინტერვენციის გასატარებლად, სასურსათო პროდუქციის საინტერვენციო მოცულობები არ უნდა იყოს მისი რეალიზაციის საერთო ოდენობის 45-50%-ზე ნაკლები;**
- **სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან პროდუქციის რეალიზაციის ფასები, ერთი მხრივ, უნდა იყოს გარანტირებულ ფასებზე 30-40%-ით მაღალი, ხოლო მეორე მხრივ, არ უნდა იყოს საბაზრო ფასებზე არსებითად დაბალი;**
- **სახელმწიფო რესურსებიდან სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობები სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს, რათა მომხმარებლები და სავაჭრო ფირმები ფლობდნენ ინფორმაციას არსებული რესურსების შესახებ.**

სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან სასაქონლო მარაგების რეალიზაციის მოცულობები მიზანშეწონილია გაიზარდოს საცალო ფასების მკვეთრი ამაღ-ლებისას, რათა დაცულ იქნეს მომხმარებელთა ინტერესები. საცალო ფასების მკვეთრი შემცირების შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა გაყიდოს პროდუქცია. ამ სიტუაციაში მიზანშეწონილია მისი შესყიდვა, რათა დაცულ იქნეს მწარმოებელთა ინტერესები. ამრიგად, სახელმწიფო მარაგებიდან სასურსათო პროდუქციის რეალიზაციის აღწერილი მექანიზმი არ არღვევს საბაზრო პირობებს და ხელს უწყობს სასურსათო ბაზრის სტაბილურობას.

არ გამოვრიცხავთ რა სახელმწიფო კონტროლს საცალო ფასებზე, მათი შეზღუდვის ამა თუ იმ მეთოდების გამოყენების გზით, აუცილებლად მიგვაჩნია მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირება, მისი ნაკლებუზრუნველყოფილი ფენებისთვის დახმარების გაწევის მეშვეობით. ასეთი დახმარების გაწევის ფორმები (უფასო კვების ბარათების გაცემა, უფასო კვების ორგანიზება სკოლებში, საავადმყოფოებში და სხვა სოციალურ დაწესებულებებში და ა.შ.) საკმაოდ კარგადაა ცნობილი და დიდი ხანია გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების მხარდაჭერა, სოციალური მიმართულების გარდა, მწარმოებელთა მხარდაჭერის ღონისძიებასაც წარმოადგენს, რამდენადაც იგი ადიდებს ერთობლივ მოთხოვნას მათ პროდუქციაზე და შესაბამის გავლენას ახდენს ფასებზე.

მთლიანად, აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების ზემოაღნიშნული მექანიზმების შეთანაწყობა და ეფექტიანი გამოყენება საშუალოვადიან პერიოდში (2014-2017 წწ.) შესაძლებელს გახდის ქვეყანაში სურსათით უზრუნველყოფის სფეროში არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში (2025 წ.) კი – სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის არსებითად გადაჭრას და ქვეყნის დამოუკიდებლობის მყარი საფუძვლის შექმნას.

მერაბ ვანიშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

SUMMARY

The current issues of macroeconomic regulation of agribusiness in Georgia

Vanishvili Merab,
Georgian Technical University,
Professor

In the article, manufacturers in developed countries approved the forms and methods of support (subsidies, subsidized export credit), based on macroeconomic regulation studied agribusiness on topical issues in Georgia.

It is considered by maximally size and scope of what is permitted by international financial organizations documents, standards and regulations of the World Trade Organization, international obligations of Georgia.

It has been implemented on the fact that the regulation should not be widely used indirect subsidy mechanisms. Transparency and purpose of these forms should be conditioned by national programs

თვითმმართველობების წარმოშობის და განვითარების ასპექტები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლადშექმნილ სახელმწიფოებში დღის წესრიგში დადგა მმართველობისა და თვითმმართველობის რეფორმირების საკითხი. ჩგამომდინარე იქედან, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს მრავალი წლების მანძილზე არ ჰქონდათ გამოცდილება ადგილობრივი მმართველობის სფეროში, საჭირო გახდა უცხოეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნების მმართველობის მრავალი ფორმა არსებობს, კერძოდ: ავტოკრატია, არისტოკრატია, მერიტოკრატია, თეოკრატია, დიქტატურა, დემოკრატია, მონარქია. ასევე არსებობს პლუტოკრატია, რესპუბლიკა. რესპუბლიკა თავის მხრივ მოიცავს დუალისტურ (ანუ შერეული) რესპუბლიკას, კონსტიტუციურ რესპუბლიკას, საპარლამენტო რესპუბლიკას, საპრეზიდენტო რესპუბლიკას და ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკას. არსებობენ სოციალისტური და კაპიტალისტური რესპუბლიკები. რაც შეეხება ადგილობრივი მმართველობის ფორმებს, იგი ასეთი სახით წარმოგვიდგება; ფედერალიზმი, თვითმმართველობა, დეცენტრალიზაცია და ცენტრალიზაცია. ფედერალიზმი (ლათ. **foedus**–შეთანხმება, ხელშეკრულება)–სახელმწიფოს მოწყობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ქვეყნის ცალკეულ მხარეებს მინიჭებული აქვთ მნიშვნელოვანი თვითმმართველობა. ‌ფ‌ფედერალიზმის საწინააღმდეგო ცნებაა უნიტარიზმი. ‌ფ‌ფედერალიზმის დროს ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს კანონით მკაცრად მინიჭებული თავისუფლება აქვთ. ‌ფ‌ფედერალური სახელმწიფოები შედგება რამოდენიმე წარმონაქმნისგან, რომლებიც გარკვეული ეკონომიკური თვითმმართველობებით სარგებლობენ, აღნიშნულ ეკონომიკურ სუბიექტებს აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები, ასევე სხვა სახელმწიფოებრივი ორგანოები. ასეთი წარმონაქმნები არსებობენ სხვადასხვა ქვეყანაში პროვინციების, მიწების და შტატების სახით. ‌ფ‌ფედერაციული ქვეყნებია; ჩგერმანია, ინდოეთი, აშშ, კანადა, ბელგია, მალაიზია და სხვები.

უნიტარულ ქვეყნებში არსებული ტერიტორიული ერთეულები უშუალოდ ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. ფედერალიზმისგან გასხვავებით ტერიტორიულ ერთეულებს არ აქვთ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსი. იქ არსებობს ერთიანი კონსტიტუცია და ტერიტორიული ერთეულები იმართებიან ცენტრიდან. უუნიტარული ქვეყნებია; შვედეთი, ირლანდია, ჩეხეთი, ისლანდია, ფინეთი, სამხრეთ კორეა და სხვა.

ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებები და ვალდებულებები ყველა ქვეყანაში მკაცრადაა რეგლამენტირებული. ადგილობრივ თვითმმართველობებს გააჩნიათ საკუთარი საზღვრები და მართვის კომპეტენცია. თვითმმართველობები ხშირად გაიგივებულია მუნიციპალიტეტებთან. სიტყვა „მუნიციპალიტეტი“ ლათინური სიტყვა „მუნიციპიუმ“-იდან წარმოდგება და სიმძიმის (ტვირთის) აღებას ნიშნავს, ხოლო თანამედროვე განმარტებით, მუნიციპალიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის არჩევითი ორგანოა.

მეცნიერ-მკვლევარები სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ, რომ სწორედ ტერიტორიული ეკონომიკური სისტემების შესწავლით ხდება ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მმართველობის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა, რის შემდეგაც შესაძლებელია ტერიტორიული ორგანოების ინტენსიური განვითარების კომპონენტების ღრმა ანალიზი.

რეგიონისგან განსხვავებით ამ დროისთვის თითქმის არ შესწავლილა და არ ჩამოყალიბებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ცალსახა და სრულყოფილი ფორმულირება. აღნიშნულმა ტერმინმა განსაკუთრებული დატვირთვა და აქტუალობა 1991 წლიდან (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ) შეიძინა. ამ პერიოდიდან, მას შემდეგ, რაც მოიშალა გეგმიური სახელმწიფო ეკონომიკა, ფაქტობრივად ადგილობრივი რაიონები (ამჟამად მუნიციპალიტეტები) ყოველგვარი საკანონმდებლო ბაზის გარეშე დარჩნენ და სრულიად დაუცველნი აღმოჩნდნენ არსებული რეალობის წინაშე[1].

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიმოვიხილოთ ,,თვითმმართველობის“ ცნებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი და განვსაზღვროთ მისი როლი განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ტერიტორიული ეკონომიკური სისტემების განვითარების მისაღწევად აუცილებელია მაქსიმალურად იქნეს

1 ბოლაშვილი პ. მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები.

გამოყენებული თანამედროვე მეცნიერული მიდგომები. საჭიროა შესწავლილ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციონალური მდგომარეობა. თანამედროვე გლობალური ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის შესწავლა ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. იმ გზების მოძიება, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი ტერიტორიული პროდუქტის წარმოების ზრდას, თანამედროვე ტექნოლოგიების მაქსიმალურად გამოყენებას და ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის მაქსიმალურად წარმოჩენას. ყოველივე ამის მისაღწევად აუცილებელია ადგილობრივი და რეგიონული სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივ ექსტენსიურ და ინტენსიურ ფაქტორებს შორის შედარების შეფასება. საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობების რესურსული ბაზის გაფართოება და ადგილებზე უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა, ადგილობრივი ბიზნესების დივერსიფიკაცია, ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის როლის ზრდა, ფინანსური და რეალური სექტორის განვითარება[1].

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარება ძირითადად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობას. ისტორიულად ადგილობრივი წარმონაქმნების განვითარება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ადგილობრივი აგრარული სექტორის განვითარებაზე, რადგანაც ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ყოველთვის მაღალი იყო[2].

ადგილობრივი თვითმმართველობების მეცნიერული მიდგომისთვის აუცილებელია ადგილობრივი კაპიტალის და ტერიტორიული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, ყოველივე ამისათვის კი საჭიროა მოხდეს ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის დაჩქარებული ფორმირება და ადგილებზე „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკური მიდგომების“ დანერგვა.

თვითმმართველობების განვითარებისათვის აუცილებელია ადგილობრივი ეკონომიკური სისტემების, როგორც ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის ნაწილის ინსტიტუციონალურ-სამეურნეო სტატუსის განსაზღვრა. ასევე ადგილობრივი „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის“ ინტენსიური განვითარება.

ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას საჭიროა მოვახდინოთ დასახული მიზნების მკაფიოდ ფორმულირება. მიზნებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი: **ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლების სამართლიანად გადანაწილება; ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფა; ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება; ადგილობრივი ბიზნეს-გარემოს მაქსიმალურად გაუმჯობესება; მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა.**

ზემოთ დასახელებული საკითხების გადაწყვეტისას მეტად მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნეს სწორედ ისეთი კანონები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დასმული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტა.

ისტორიულად, არსებული განსხვავებანი ცალკეულ მუნიციპალიტეტებს შორის ყოველთვის გავლენას ახდენდა მთლიანად ქვეყნის პოლიტიკაზე. დღის წესრიგში ყოველთვის იდგა ისეთი ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად მორგებული იქნებოდა ადგილობრივ სპეციფიკაზე და ყველა მუნიციპალიტეტის მიმართ არ გამოყენებულიყო შაბლონური მიდგომა. ასეთი დიფერენცირებული მიდგომებით უნდა მომხდარიყო მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოცოცხლება.

საქართველოში წლების განმავლობაში არ არსებობდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა ადგილობრივი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მიღების უფლებამოსილებების ზრდას თვითმმართველობების დონეზე. ასეთი გამოცდილება არსებობს საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იაპონიაში, კანადაში, აშშ-ში. აღნიშნულ ქვეყნებში არსებულ პროვინციებს, დეპარტამენტებს, რაიონებს, პრეფექტურებს, მერიებს და მუნიციპალიტეტებს აქვთ უფლება გამოსცენ ადგილობრივი დონის საკანონმდებლო აქტები, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილებზე მიიღება ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც წარმოადგენენ ცენტრალურ დონეზე მიღებული კანონების შემზღუდავ კანონებს.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების მიმართულებით 1991 წლიდან ფაქტიურად არ გამოყენებულა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ის დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარი უნდა გამხდარიყო. ადგილობრივ პოლიტიკას არ ჰქონდა სახელმწიფო კონცეფციის ხასიათი, ასევე არ არსებობდა შესაბამისი გამართული საკანონმდებლო ბაზა. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გაურკვეველი და ბუნდოვანი მომავლის წყალობით, რასაც ემატებოდა ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და კრიმინოგენური მდგომარეობა, უკიდურესად დაქვეითდა ადგილობრივი მოსახლეობისა და მეწარმეთა შრომითი და სამეწარმეო აქტივობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა შემოსავლები. ყოველწლიურად მცირდებოდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო დამოუკიდებლობა. ქვეყნის ეკონომიკის ასეთმა სწრაფმა დაცემამ გამოიწვია ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მნიშვნელოვანი დისპროპორციები, რაც გამოიხატებოდა ისეთი ძირითადი მაჩვენებლების მკვეთრ ცვლილებებში მოსახლეობის ერთ სულზე, როგორიცაა; ინვესტიციები, შემოსავლები და ხარჯები, მრეწველობის და სოფლის

1 www.nala. ge--ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ოფიციალური ვებ.გვერდი.

2 ნოდარ ჭითანავა. ჟურნალი; ბიზნესი და კანონმდებლობა 2010 წ. #6.

მეურნეობის პროდუქცია, შობადობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლებისა და კულტურის ობიექტებით უზრუნველყოფა და სხვა[1].

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების კუთხით შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი მეცნიერული მიდგომები: **ადგილობრივი ეკონომიკური სისტემების განვითარების კონცეპტუალური ასპექტების განსაზღვრა; ადგილობრივი ეკონომიკური სისტემების სპეციფიკური მახასიათებლების განვითარების შესწავლა; ადგილობრივი ეკონომიკური სისტემების ადმინისტრაციული ფორმისა და ეკონომიკური შემადგენლობის დადგენა; ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების მიზნით თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა; ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მისიისა და ძირითადი ფუნქციების იდენტიფიცირება; ადგილობრივი მუნიციპალიტეტების როლის განსაზღვრა რეგიონული და ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის განვითარების საქმეში; ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო შემოსავლების დივერსიფიკაციის მიზნით ადგილობრივ დონეზე მიღებული კანონების, ნორმატიული აქტების ანალიზი; ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების კუთხით უცხოეთის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამოცდილების მაქსიმალური გამოყენება;**

უცხოეთის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების ხანგრძლივმა ისტორიამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაშია ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ძლიერი ეკონომიკურად და ფინანსურად, როცა ადგილობრივ დონეებზე მაქსიმალურადაა გამოყენებული ქვეყნის შიგნით არსებული მეცნიერული პოტენციალი, მხოლოდ მეცნიერული მიდგომები უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მდგრად განვითარებას და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. მეცნიერული მიღწევების კუთხით საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით მდგომარეობა უკეთესია. განვლილმა 20 წელმა გვიჩვენა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების მცდელობის მიუხედავად, რასაც ასევე ხელს უწყობდა ქვეყანაში არსებული სამეცნიერო პოტენციალი, მდგომარეობა სასიკეთოდ მაინც ვერ იცვლებოდა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები თანდათან კარგავდნენ იმ მინიმალურ დამოუკიდებლობას, რაც მათ კანონით გააჩნდათ. ასეთი მიდგომები ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ბუნდოვანებას იწვევდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე კანონი, მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მაინც რთული იყო. ძირითადი დასკვნა, რაც შეიძლება გამოტანილ იყოს აღნიშნული მიმართულებით არის ის, **რომ ცენტრალური ხელისუფლება უნდობლობას იჩენდა მუნიციპალიტეტების მიმართ და სურდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ჰყოლოდა სრულ დაქვემდებარებაში, ამით კი მაქსიმალურად ინარჩუნებდა ადგილობრივი თვითმმართველობების მართვის ეკონომიკურ და ფინანსურ ბერკეტებს, სრულად უსპობდა ადგილობრივ თვითმმართველობებს იმ მინიმალურ დამოუკიდებლობას, რაც მათ გააჩნდათ.**

ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, ნაცვლად იმისა, რომ გამოეთქვათ პროტესტი შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ცენტრალური ხელისუფლების ყურმოჭრილ მონებად რჩებოდნენ. ცენტრსა და ადგილებს შორის ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო სწორედ ადგილობრივი და რეგიონული მეცნიერული პოტენციალის გამოუყენებლობით. ამას ემატებოდა ისიც, რომ მუნიციპალიტეტების დონეზე კანონების მიღებისას ფაქტობრივად იგნორირებული იყო მართლმადიდებლურ მორალზე დამყარებული პრინციპების გამოყენება, რაც მთლიანობაში ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას იწვევდა.

საქართველოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს აქვთ განვითარების დიდი პერსპექტივა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იქნება მუნიციპალიტეტების განვითარებისთვის პოლიტიკური ნება, მინიმალური იქნება უცხოეთის ე.წ. „კეთილისმყოფელების“ ჩარევის ხარისხი ადგილობრივი კანონების მიღებისას და მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. მუნიციპალიტეტების განვითარებისთვის ამოსავალი უნდა იყოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში ცენტრის და მუნიციპალიტეტების ურთიერთობების სწორად შეფასება.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს მაინც ცენტრი წარმოადგენს. სწორედ მას ევალება მოახდინოს პროცესების ისე წარმართვა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შემდგომი განვითარება; „ქვეყნის განვითარების მოცემულ ეტაპზე ცენტრი უნდა ასრულებდეს ტრანსფორმაციული პროცესების წარმმართველის ფუნქციას, მან უნდა უზრუნველყოს ბუნებრივ-საწარმოო, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა თავისებურებებით ერთმანეთისგან განსხვავებული რეგიონების ერთიანი სტრატეგიით განვითარება[2]. აღნიშნულიდან გამომდინარე მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება ადგილობრივი თვითმმართველოებების განვითარება, თუ ორივე მხარე, როგორც ცენტრი ასევე ადგილობრივი თვითმმართველობა იმოქმედებს სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით, რათა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარება წარიმართოს სამართლებრივ სივრცეში.

ამჟამად მდგომარეობა ადგილებზე სულ სხვაგვა-

1 www.geostat.ge--საქსტატის ოფიციალური ვებ.გვერდი

2 ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ. 2001 წ.

რია. ფაქტობრივად არ არსებობს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების მოკლევადიანი (3-5 წელი) და გრძელვადინი (5 და მეტი წელი) სტრატეგია, რაც ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობას არაეფექტურს ხდის[1]. გამომდინარე აქედან, კიდევ უფრო მძიმდება ადგილობრივ დონეებზე მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამას ემატება ისიც, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე ძალიან დაბალია მმართველობაში მომუშავე ადამიანების ცოდნის დონე, აღნიშნული დონის ამაღლებაზე საერთოდ არ ზრუნავს ცენტრალური ხელისუფლება. ხშირ შემთხვევაში პირიქითაც ხდება, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში წამყვან თანამდებობებზე სწორედ ის პირები ინიშნებიან, რომლებსაც აღნიშნული მიმართულებით ადგილობრივ თვითმმართველობებში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნიათ. ამით უგულებელყოფილია ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, სადაც აღნიშნულია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში პირები უნდა ინიშნებოდნენ კონკურსის წესით. აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნის უგულებელყოფა კი ადგილობრივ თვითმმართველობებში ნათესაურ-კლანური მმართველობის დანერგვას და ნეპოტიზმს უწყობს ხელს.

ასეთი მიდგომები მნიშვნელოვნად ამცირებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შემდგომ განვითარებას და კიდევ უფრო ზრდის მუნიციპალიტეტების ცენტრზე დამოკიდებულებას.

ამ პერიოდისთვის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით თითქმის არც-ერთი მთავრობის მიერ არ გამოყენებულა ის მეცნიერული მიღწევები, რომელიც არსებობს თანამედროვე საქართველოში. ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული კანონები არ იყო ჰარმონიულ დამოკიდებულებაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ მიღებულ კანონებთან, რაც კიდევ უფრო ართულებდა ადგილობრივი თვითმმართველობების შემდგომ განვითარებას. როგორც დაკვირვებებმა გვიჩვენა საქართველოში 1991 წლიდან განხორციელებული რეფორმები სტიქიურ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული რეფორმები მიმდინარეობდა იზოლირებულად და ფრაგმენტულად. მიმდინარე რეფორმების დროს არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განსხვავებული სპეციფიკური თავისებურებები, რაც წარმოადგენდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიის ძირითად მახასიათებელს. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულ იქნა მრავალი კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, მაინც ვერ მოხერხდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მართვის რეალურ ინსტუტუტად ჩამოყალიბება. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს არ გააჩნდათ საკუთარი ფინანსები და ქონება, არ იყო გამიჯნული ცენტრსა და რეგიონს შორის კომპეტენციები[2].

ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობებს შორის არ იყო ჩამოყალიბებული პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც უნდა ყოფილიყო ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველი.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ არ ხდებოდა ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის მაქსიმალურად გამოყენება, რაც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების არაკომპეტენტურობაზე მიუთითებდა. ასეთი მიდგომები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებთა სამართლიან გულის-

1 ზოლაშვილი პ.მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები.

2 ჭითანავა ნ. საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში.

წყრომას იწვევდა, რაც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი კომპეტენტური კადრების საქართველოს ფარგლებს გარეთ გადინებაში გამოიხატებოდა.

ადგილობრივ დონეებზე არ ხდებოდა მუნიციპალიტეტებში არსებული უდიდესი რეზერვების გამოყენება. განსაკუთრებით აღსანიშნავია წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკურ და ინფორმაციულ სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაზიარება. გაწყვეტილი იყო კავშირი ადგილობრივ ბიზნეს-წრეებთან, არ იყო გამოყენებული თანამედროვე ადგილობრივ პირობებს მორგებული ფრანჩაიზინგის სისტემა. ეს სისტემა სახელშეკრულებო ურთიერთობებს ეფუძნება, რომლითაც მსხვილი სტრუქტურა თავის უფლებამოსილებას გადასცემს მცირე საწარმოს, რათა მან გამოიყენოს მისი სავაჭრო მარკებით სარგებლობის უფლება, ამასთან, აწვდის მას საქონელს, რეკლამას და ტექნოლოგიებს. ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ფაქტობრივად არ ხდებოდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების სისტემატური გადამზადება, გადამზადების დაფინანსებისთვის არ იყო გამოყენებული ადგილობრივი და მოზიდული სახსრები. გადამზადების აუცილებლობაზე ცენტრალური მთავრობაც არ მიუთითებდა და არანაირ ზომებს არ მიმართავდა, შედეგად კი ვღებულობდით არაკომპეტენტურ ადგილობრივ კადრებს და არაკონკურენტუნარიან ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს არ გააჩნდათ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები, რომელიც დამტკიცებულ უნდა ყოფილიყო წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოების) მიერ. პროგრამების ამოსავალი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის სისტემური შეფასება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარებისთვის არ იყო განსაზღვრული სხვადასხვა ადგილობრივი მიმართულებების პრიორიტეტულობა, საკითხები წყდებოდა სპონტანურად, ყოველგვარი განხილვის და მოსახლეობასთან შეკრების გარეშე, ობიექტურად არ იყო შესწავლილი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო და საგადასახადო ბაზა.

თუ გამოვიყენებთ თანამედროვე მეცნიერულ მიდგომებს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაშია ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული კანონები ეფექტური, როცა ის ეფუძნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ტრადიციებს, სპეციფიკას და მიდგომები გამყარებულია ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მრწამსით.

მეწარმე-სუბიექტი, ამა თუ იმ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებისას სხვადასხვა გზებით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კერძოდ: ა) უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნასა და მუშაკთა ხელფასებით დაკმაყოფილებას. ბ) უზრუნველყოფს ადგილობრივი საგადასახადო ბაზის გაფართოებას. გ) ხელს უწყობს ადგილებზე საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას[1].

მუნიციპალიტეტებში მოქმედი მეწარმე-სუბიექტები ახდენენ საკუთარი ინტერესების რეალიზებას, რაც შემდეგი სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

- **წარმოების მომგებიანობა;**
- **წარმოების მოდერნიზაცია და გაფართოება;**
- **მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები;**
- **ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები;**
- **ადგილობრივი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობა;**
- **ხელსაყრელი პირობების შექმნა წარმოების განვითარებისათვის.**

თავის მხრივ, საწარმოების განვითარება მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტებს კი ეკისრებათ ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიცაა; ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული.

ეკონომიკური ფუნქცია მოიცავს მიზანმიმართული ღონისძიებების არსებობას და ნორმალურად ფუნქციონირებადი ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას, რაც გამოიხატება მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებაში და მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

სოციალური ფუნქცია გამოიხატება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაში, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში.

ეკოლოგიური ფუნქცია მოიცავს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა გაატაროს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა წყლისა და ჰაერის მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ადგილობრივი ბუნებრივი და მიწის რესურსების ყაირათიანად გამოყენებაში.

სოციალურ-კულტურული ფუნქცია მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყველანაირი პირობების შექმნას, ნორმალურ სულიერ და კულტურულ ატმოსფეროში ცხოვრების კუთხით, ადგილობრივ თვითმმართველობებს ყოველთვის არ აქვთ სრულად გათავისებული ამ კუთხით მათზე დაკისრებული ის ვალდებულება, რომელთა გატარებაც მათ ევალებათ, სწორედ ნორმალური სოციალურ-კულტურული ღონისძიებების გატარება წარმოადგენს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებელ წინაპირობას.

ბორის ჭიჭინაძე
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

1 Прохорова в. Автореферат. Територіалъная экономическая система: Субрегіоналъные ресурсы, стратегии и инструменты интенсивного развития. Ст.

ქალაქის ბრენდინგი – განვითარების ეფექტური იარაღი

საქართველოს ჩართვა მსოფლიო სამეურნეო სისტემაში მნიშვნელოვანწილადაა განპირობებული ეკონომიკური სტრატეგიის სწორი შერჩევით და გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვით, რაც ქვეყნის მდიდარი რესურსული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას ეფუძნება.

საქართველოს და მის ცალკეულ რეგიონებს განუხრელად ესაჭიროებათ საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა, არსებული რესურსების კონკურენტუნარიანობის იდენტიფიცირებისა და ცნობადობის გაზრდა, უცხოელი პარტნიორების მოზიდვა. თანამედროვე პირობებში ინტეგრაციული პროცესების პოზიტიური მხარეების გათვალისწინებით (ვმო, ევროსაბჭო და სხვ.), საქართველოს ეკონომიკა "ღია ეკონომიკად" იქცა, რომლისთვისაც დასახელებული და მსგავსი ტიპის ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია ცალკეული ქალაქებისა და ტურისტული ცენტრების ბრენდად ჩამოყალიბების გარეშე.

ქალაქის ბრენდინგი ქალაქის ბრენდის შეგნებით და მიზანმიმართულად ფორმირების პროცესია, ქალაქის იდენტურობის გამოხატვის საშუალებაა, მისი მკვეთრ ფორმებში წარმოჩენის ხელშეწყობაა, რაც მიმზიდველი იქნება მიზნობრივი აუდიტორიისთვის.

როგორც წესი, ქალაქის ბრენდინგი სამ აქტიურ სტადიას მოიცავს:

1. ქალაქის იდენტურობის ანალიზი და მის საფუძველზე ქალაქის ბრენდის კონცეფციის შემუშავება;

2. ქალაქის სივრცეში, მიზნობრივი აუდიტორიის ცნობიერებაში ბრენდის იმიჯის ფორმირება;

3. ბრენდის იმიჯის კონვერტაცია (,,გადაყვანა") ქალაქის იმიჯად.

თავის მხრივ, ქალაქის ბრენდინგის კონცეფცია სამ ეტაპს მოიცავს: **ქალაქის ბრენდის იდეა, ქალაქის ბრენდის ფასეულობების განსაზღვრა და ქალაქის ბრენდის დიზაინი.**

მსოფლიოს ქალაქებს მდიდარი ემპირიული გამოცდილება დაუგროვდათ საკუთარი იდენტობის განსაზღვრის მიმართულებით. ისინი კრეატიულად არჩევენ სათანადო ინსტრუმენტებს განვითარების მიზნების მისაღწევად. ევროპისა და ამერიკის ქალაქები ხშირად განიხილავენ ექსტრავაგანტულ იდეებს და განსაზღვრავენ "ქალაქის თემას". ქალაქს, რომელსაც „თემა გააჩნია", იოლად გასაღებადია მარკეტინგის მიზნობრივი აუდიტორიისთვის (მოსახლეობა, ინვენსტორები, ტურისტები). ამ მიმართებით გვაქვს „მოცარტის", „შექსპირის", „კონან დოილის", „ყველის", „შოკოლადის", „ფესტივალების", „თეატრალური", „საფეხბურთო" და სხვა ქალაქები. ასევე „მარადიული ქალაქი" (რომი), „შთამაგონებელი დედაქალაქი" (ედინბურგი), „სილიკონი ქვიშისაგან" (დუბაი), „დიდი ვაშლი'' (ნიუ-იორკი) და სხვა[1].

ადგილის მარკეტინგის თემა იმდენად „ახალგაზრდაა", რომ სპეციალისტთა მიერ ჯერ კიდევ ზედაპირულადაა განხილული. ეს ცნება მხოლოდ 20–25 წლის წინ წარმოიშვა.[2]

სპეციალისტთა ნაწილი ქალაქის მარკეტინგს განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ ეკონომიკურ პროცედურას, რომელიც შემოფარგლულია ქალაქის რეკლამით. ისინი მიიჩნევენ, რომ „ქალაქის მარკეტინგი მიმართულია ქალაქის ფუნქციების და მათზე მოსახლეობის, კომპანიების, ტურისტებისა და სხვათა მოთხოვნებს შორის თანაფარდობის ოპტიმიზაციისკენ".[3]

სხვა მკვლევარები მარკეტინგს, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიის მართვის ინსტრუმენტად განიხილავენ: „ქალაქის მარკეტინგი – ეს არის ქალაქის მართვის დაგეგმარების, კოორდინაციის და კონტროლის პირდაპირი კავშირების პროცესი. მის სხვადასხვა პარტნიორებთან და მიზნობრივ ჯგუფებთან".[4]

მოტანილ განსაზღვრებებში შეიმჩნევა საერთო

1 Визгалов Д., Брендинг города. М., 2011. Р. 42.

2 Ashworth G., Voogd H. Selling the City: Marketing Approaches in Public Sector Urban Planning. — L.: Belhaven, 1990.

3 Meer J., van der. The Role of City Marketing in Urban Management. — Rotterdam : EURICUR. Erasmus University, 1992.

4 Braun E. City Marketing. Towards an Integrated Approach // Erasmus Research Institute of Management. — Rotterdam, 2008.

იდეა, რომელიც მიუთითებს ქალაქის მართვის კარდინალურ გარდაქმნაზე – გადასვლაზე სამეურნეო კომპლექსების მართვიდან მიზნობრივი აუდიტორიების ინტერესების მართვისკენ, როგორც ქალაქის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. დასახელებული ინტერესები სხვადასხვაგვარი და ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობრივია. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაშინ გამოდის, რომ ქალაქის მარკეტინგი მოწოდებულია გადაწყვიტოს ქალაქის განვითარების სხვადასხვა ამოცანები, დაწყებული ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ჩადებით, დამთავრებული ტურისტების ან ქალაქის კონკრეტული კატეგორიების ახალი რეზიდენტების მოზიდვით. აქედან გამომდინარეობს ქალაქის მარკეტინგის გაგების ბუნდოვანებაც.

არსებობს ათობით უცხოური ქალაქის მდიდარი ემპირიული გამოცდილება, რომლებიც ინტუიციით, საკუთარი წარმოდგენებიდან და პრობლემებიდან გამომდინარე, ცდილობენ აქტიურად მოახდინონ გავლენა თავიანთ ბედზე, განსაზღვრონ საკუთარი იდენტურობა. ამის მისაღწევად მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბებით და ინსტრუმენტების კომბინაციების შერჩევის მეშვეობით ისინი ახალ როლს ირჩევენ.

თუ ქალაქს საკუთარი უნიკალურობა არ აქვს გააზრებული, ეს ასუსტებს მის ინვესტიციურ მიმზიდველობას. ქალაქი უნდა ხედავდეს, როგორი ახალი მცხოვრებლები სჭირდება მას კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. მობილობა საშუალებას აძლევს ადამიანებს, არჩევანი გააკეთონ ცხოვრების და მუშაობის უკეთესი პირობების სასარგებლოდ. თუ ქალაქს არ შეუძლია შთაბეჭდილება მოახდინოს თავის „მომხმარებლებზე“, ის კარგავს მიმზიდველობას ბიზნესისთვის. თუ ქალაქს არ გააჩნია დამოუკიდებელი სტრატეგია – ის კარგავს ადგილს აგრესიულ გლობალურ ბაზარზე: ქალაქი იწყებს ჩამორჩენას სწრაფ და მობილურ სამყაროში.

მრავალი ქალაქი, რეგიონი, ქვეყანა უკვე დიდი ხანია ჩართულია მარკეტინგში, მაგრამ არ აქვს გააზრებული, რომ მის საქმიანობას სწორედ ასე ეწოდება. ევროპის და აშშ-ის ქალაქებში ადგილი აქვს თითქმის მასობრივ მოვლენას, როდესაც ქალაქის საზოგადოებები თანხმდებიან ახალ, ხშირ შემთხვევაში ექსტრავაგანტულ იდეაზე, ქალაქის თემაზე.

ქალაქისთვის სტრატეგიული თემის ძიება პოპულარული გახდა იმიტომ, რომ „თემის მქონე“ ქალაქის იმიჯი უფრო მარტივია „მიყიდო“ მარკეტინგის მიზნობრივ აუდიტორიებს – **პოტენციურ მცხოვრებლებს, ინვესტორებს, ტურისტებს, ქალაქის ნაწარმისა და მომსახურების მომხმარებლებს.** ასეთ ქალაქში ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ქალაქს აქვს განვითარების ნათელი პრიორიტეტები და გააზრებულად მართავს საკუთარ გარემოს. როგორც წესი, პოტენციური მცხოვრებლები ხედავენ თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს. ტურისტები კი – ქალაქის თემატურ უნიკალურობას და ვიზიტებისთვის გახსნილობას.

მარკეტინგი მოწოდებულია გაავრცელოს და გაფართოოს ქალაქის გავლენა მის ფარგლებს გარეთ, ემსახურებოდეს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას სხვადასხვა დონეზე. ეს არასტანდარტული, მაგრამ საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტია ქალაქის იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც მან ვერ შეძლო დაეძლია ტრადიციული მმართველობით. ასეთი პრობლემების სპექტრი ძალიან ფართოა – დაწყებული ქალაქის ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების დეფიციტით და ეკოლოგიური საფრთხეებით და კრიმინალიზაციით დამთავრებული.

თანამედროვე პირობებში ადგილის ბრენდირების პროცესში ტრადიციულად მიღებულ კულტურულ რესურსებთან ერთად (კულტურული ინფრასტრუქტურის ობიექტები, ხელოვნება, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები) განსაზღვრულ ადგილს იჭერს ქცევისა და თანაცხოვრების ისეთი უნიკალური კულტურული სცენარები, როგორიცაა: **ენა, ადგილობრივი გამონათქვამები, კილო, სლენგი, ადგილის მითოლოგია, მოგონებები, ურთიერთობის ტრადიციები, სულიერი და რელიგიური რესურსები, რეწვის და საქმიანი კულტურის ადგილობრივი ტრადიციები, ოჯახური და ნათესაური ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ეთნონაციონალური კულტურა, სპორტული ტრადიციები, სამოქალაქო აქტივობის ფორმები, ადგილობრივი დღესასწაულები, ფოლკლორი, გართობის ფორმები.** ზემოთ ჩამოთვლილიდან თითოეული შეიძლება იქცეს ადგილის იდენტობის ფორმირების ერთგვარ პლატფორმად, ადგილის ბრენდად.

მითები, ლეგენდები, ისტორიები და ანეგდოტები - ქალაქის კულტურის განსაკუთრებული სახეა. მათ ბრენდინგში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ.

მზარდი კონკურენტუნარიანობის და ახალი გამოწვევების პირობებში საქართველოს ქალაქებისთვის, მათ შორის ქუთაისისთვის აუცილებელია ბრენდინგის, ბრენდის კონცეფციის შემუშავება.

ბოლო პერიოდში საქართველოში რეგიონის (ქალაქის) ბრენდინგის ხელშეწყობის მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი შეიქმნა. მათ შორის აღსანიშნავია ქვეყნის რეგიონული განვითარების სტრატეგია 2010-2017 წლებისთვის, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს რეგიონების ბრენდის ფორმირების საკითხს.

საზოგადოდ, რეგიონის ბრენდის ჩამოყალიბება მიზანშეწონილია რეგიონის იმიჯის შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით და ისეთი პროგრამების განხორციელებას გულისხმობს, რომლებიც ტერიტორიის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებისაკენ იქნება მიმართული.[1]

ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში, ათწლეულების მანძილზე საქართველოში ბევრმა ქალაქმა არაფრისმთქმელი, „რუხი ფერი“ მიიღო, სადაც ცხოვრების წესად „ქარხანა-საწოლი” („Завод-кровать”) იქცა. მიუხედავად ამისა, არსებობდნენ ქალაქები, რომელთაც თითქოს არ სჭირდებოდათ განსაკუთრებული ძალისხმევა იმიჯის შესაქმნელად. თუმცა, მარადიული არაფერია და მზარდ კონკურენტუნარიან პირობებშიც შესაძლებელია „მემკვიდრეობითი იმიჯიც” თანდათან გაქრეს. მიგვაჩნია, რომ დასახელებულ ქალაქთა რიცხვში განსაკუთრებული ადგილი ქუთაისს უჭირავს.

1 **ჩიხლაძე ნ.,** იმერეთის რეგიონის, როგორც ბრენდის ფორმირების საკითხისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი“ შრომების კრებული. ბათუმი, 2011. გვ. 370.

საწყის ეტაპზე ქუთაისისთვის აუცილებელია აქცენტის გადატანა ქალაქის ბრენდინგის პირველი სტადიის - ბრენდის კონცეფციის შემუშავებაზე.

მიგვაჩნია, რომ ქუთაისის ბრენდინგის კონცეფციაში აუცილებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

1. **ქუთაისის მდიდარი ისტორიული წარსული და ტრადიციები.** ქუთაისი საქართველოს უმშვენიერესი და სტუმართმოყვარე მხარეა. სამხრეთული ტემპერამენტით, ისტორიისა და აწმყოს განსაკუთრებული ნაზავით, ნიჭიერებითა და თეატრალობით გამორჩეული, ეროვნული ტრადიციების პატივისმცემელი და ერთგული მატარებელი, რომელიც 35 საუკუნეს ითვლის. ქუთაისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებენ, რომ აქ ადამიანს ცხოვრება, ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის ხანაში დაუწყია. აქვე აღმოჩენილია უძველესი ქალაქების ინფრასტრუქტურის ნაშთები. წარსულში „კუტაია”, „აია” ანტიკური დროის არგონავტების ოცნების ქალაქი იყო. კოლხი მედეასა და ოქროს საწმისის კურთხეული მიწა. X საუკუნეში ქუთაისში ავიდა ტახტზე გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე. 1122 წლამდე საქართველოს სამეფოს რეზიდენცია ქუთაისში იმყოფებოდა.

2. **ხელსაყრელი მდებარეობა.** საქართველოს გეოეკონომიკური ფუნქციებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სატრანზიტო ფუნქცია, რის გამოც ახალი დატვირთვა შეიძინა იმერეთისა და ქუთაისის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ. თანამედროვე ეტაპზე, რეგიონი გვევლინება, როგორც დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანი, ერთი მხრივ ევროპასა და აზიის ქვეყნებს შორის და მეორე მხრივ - საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს შორის. ქუთაისი უკავშირდება შავი ზღვის პორტებს, თბილისს, სხვა ქვეყნებსა და რეგიონებს არამარტო აეროპორტით, არამედ განვითარებული სარკინიგზო ქსელითაც.

3. **ქუთაისი, როგორც მეორე დედაქალაქი.** ქუთაისში გადმოვიდა სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურები, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას. ქუთაისი სიდიდით საქართველოს მეორე ქალაქია და იგი ოფიციალურად აღიარებულია მეორე დედაქალაქად, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრად.

4. **ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი.** ქუთაისის ბუნებრივი, ადამიანური და საინვესტიციო რესურსები ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა სამრეწველო წარმოების განვითარებისთვის. მეცხრამეტე საუკუნეში, მეფის რუსეთის დროს აქ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა, რასაც ვერ ვიტყვით მეოცე საუკუნის 20-80–იან წლებზე. ამ პერიოდისთვის ქუთაისი უკვე წარმოდგენილია მძლავრ ინდუსტრიულ ქალაქად, სადაც აწარმოებენ ავტომობილებს, ტრაქტორებს, რეზინის ნაკეთობებს, აბრეშუმს, ტრიკოტაჟს, მაუდს, ელექტრომექანიკურ

ძრავებს, საავიაციო ტექნიკას, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, ლითოფონსა და საღებავს და უამრავი დასახელების კვების პროდუქტს. 1988 წლისათვის ქუთაისში ქვეყანაში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 13.9% იწარმოებოდა, რაც დაახლოებით 990 მლნ. მანეთს აღწევდა[1].

5. **საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება.** ქუთაისს საინტერესო წარსული და არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსპექტივები გააჩნია მისი საინვესტიციო მიმზიდველობის წყალობით. რეალობა შესანიშნავ საფუძველს იძლევა, რომ საქართველოს შუაგულში დაწყებულმა აღმშენებლობამ ახალი მასშტაბები შეიძინოს და გამორჩეული სიტყვა თქვას თანამედროვე, დასავლური პრინციპების თანაზიარი ქვეყნის ფორმირების პროცესში.[2]

1990-იანი წლებიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლას, უცხო ძალების მიერ ინსპირირებულ სამოქალაქო და ეთნოკონფლიქტებს, რთულ კრიმინოგენურ მდგომარეობას ქვეყნის შესაბამისად ქალაქის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ნეგატიური ცვლილებები მოჰყვა, სამრეწველო პროდუქციის მკვეთრი შემცირებით. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია: ინდუსტრიალიზაციის ატროფია, ეკონომიკური, სოციალური და სივრცობრივი შეუსაბამობა ახალ მოთხოვნებთან და გამოწვევებთან. შესაბამისად, ქალაქი იძულებული გახდა თავისი განვითარება გადაეწყო პოსტინდუსტრიალიზაციის ახალ პრინციპებზე.

6. **ტურიზმის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები.** თანამედროვე პირობებში ქუთაისში მძლავრი პოტენციალი არსებობს ტურიზმის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვისთვის, რასაც განაპირობებს შემდეგი ზოგადი უპირატესობები:

- **ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: პორტთან, რკინიგზისა და მაგისტრალებთან ახლო მდებარეობა.**
- **ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და სიახლოვე: ჭიათურის მანგანუმი (მარაგები დაახლოებით 200 მილიონი ტონა); ტყიბულისა და გელათის ქვანახშირი; საირმე, წყალტუბო მდიდარია სამკურნალო მინერალური წყლებით.**
- **მძლავრი ენერგეტიკული პოტენციალი: რიონჰესი, გუმათჰესი;**
- **სამრეწველო წარმოების დიდი გამოცდილება: ელექტროენერგიის წარმოება, კვების მრეწველობა;**
- **მოქმედებს საინფორმაციო ცენტრი, რომლის მიზანია ქალაქის სტუმარს მიაწოდოს მაქსიმალური ინფორმაცია ქალაქისა და მხარის ტურისტული პოტენციალის შესახებ.**
- **მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.**

შემუშავებულია ტურიზმის განვითარების პროგ-

1 „იმერეთის მხარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები 2010-2015 წლებში";

2 ჩიხლაძე ნ., საქართველოს ქალაქების ბრენდინგის საკითხისათვის (ქუთაისის მაგალითზე). ბათუმის მესამე საერთაშორისო კონფერენციის „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი" შრომების კრებული. ბათუმი, 2012. გვ. 335.

რამა, რომლის რეალიზაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქში ტურიზმის განვითარებას.

7. მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია, ახალი ოპერის თეატრი და სპორტის სასახლე; აკვა პარკი-საცურაო კომპლექსი 3 აუზით, სხვადასხვა გასართობი ცენტრები; ველო ბილიკები.

8. განვითარების სტრატეგიის გამოცდილება. წლების მანძილზე ქალაქი ამუშავებდა განვითარების პროგრამებს. ამჟამად ფორმირების პროცესშია სტრატეგიული განვითარების პროგრამა.

9. **საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გამოცდილება.** ქუთაისის დამმობილებულ ქალაქებია: **კოლუმბია** – აშშ, **ნიუ-პორტი** – გაერთიანებული სამეფო, პოზნანი-პოლონეთი, **ნიკეა** – საბერძნეთი, **აშკელონი**-ისრაელი, **განჯა**-აზერბაიჯანი, **დონეცკი, ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი, ლვოვი** -უკრაინა, **იზმირი, კარშიაკა**-თურქეთი, **ლიონი** – საფრანგეთი, **პლოვდივი** - ბულგარეთი. ქალაქი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში. **ქუთაისის და მთლიანად იმერეთის ტურისტული პოტენციალი წარმოდგენილი იყო: პოზნანის, ლონდონის, თელავივის, ბერლინის, თბილისის, ბათუმის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე.**

ქალაქის ბრენდინგი – ეს არის ქალაქის ბრენდის გააზრებული და მიზანმიმართული ჩამოყალიბების პროცესი, ე.ი. ქალაქის იდენტურობის ძიება, გამოხატვა და განვითარება, აგრეთვე მისი წარმოჩენა გამოკვეთილ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სახეებში, რომლებიც მიმზიდველია მიზნობრივი აუდიტორიებისთვის. ის შეუძლებელია ააგო როგორც სახლი - იგი უნდა გაიზარდოს როგორც ხე. ბრენდი შეიძლება **წარმოიქმნას** იმ შემთხვევაში, თუკი ქალაქის საზოგადოება (ხელისუფლება, საქმიანი ან კულტურული ელიტა, აქტივისტები ან ყველა ერთად) ჩაატარებს სამუშაოებს საკუთარი კონკურენტული უპირატესობების ძიებისა და სისტემური გამოყენებისთვის, რაც უნდა შეესაბამებოდეს საკუთარი მოსახლეობის, აგრეთვე, ქალაქის სტუმრების, ინვესტორებისა და სხვა მიზნობრივი ჯგუფების მოთხოვნებს. ამრიგად, ბრენდინგს შეუძლია ქალაქის წარმოჩენა, უაღრესად პოზიტიური როლის შესრულება მისი იმიჯის შექმნაში. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუკი მომხმარებელი (მოსახლეობა, ტურისტები, ინვესტორები, სტუმრები) ბრენდინგსა და რეალობას შორის მნიშვნელოვან სხვაობას ვერ შეამჩნევს.

ნიკო ჩიხლაძე -
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის
(ქუ) სრული პროფესორი
კახა გაბელაშვილი - ეკონომიკის დოქტორი,
(ქუ)ასოც. პროფესორი
თეა ვალიშვილი - ეკონომიკის დოქტორი,
(ქუ) და აკ. წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოც. პროფესორი

ადამიანის ღირსება და საბაზრო სისტემა

საბაზრო სისტემის დამკვიდრებამ საქართველოში თითოეული ჩვენთაგანის ცნობიერებაში იმდენად დიდი ცვლილებები მოიტანა, რომ, შეიძლება ითქვას, მათ უდიდეს უმრავლესობაში მენტალური ხასიათის მეტამორფოზები გამოიწვია. არსებობისთვის ბრძოლამ იმდენად უკომპრომისო ხასიათი მიიღო,რომ ის ვინც გადაურჩა ამ ბრძოლას და,ასე ვთქვათ, „გამარჯვებული გამოვიდა", იმდენად სულიერება დაცლილი, უსულგულო და სხვისი გაჭირვებისადმი გულგრილი გახადა, რომ სრულიად ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთი გამარჯვება უფრო დიდ დამარცხების, - სულიერების სფეროში დამარცხების - ფასად იქნა მოპოვებული.

ეს სამწუხარო რეალობაა და იმდენადაა შემაძრწუნებელი, რამდენადაც ქართულ მენტალობას ამის მიღება არაფრით არ უნდა – ქართველის შინაგანი ბუნება ამის წინააღმდეგია და არაფრით არ უნდა ამას შეეგუოს.მაგრამ არსებობისათვის ბრძოლა, შვილების მომავალზე ზრუნვა და კიდევ ათასი სხვა რამ, მნიშვნელოვანი, თუ უმნიშვნელო მიზეზი, აიძულებს,თუ თითოეულ ჩვენთაგანს არა,მათ საკმაოდ დიდ ნაწილს, შეეგუოს იმას, რაც მის მენტალობას ეწინააღმდეგება.

როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ამის შეგუებას გარკვეული დრო სჭირდება, თორემ ყველა საბაზრო სისტემის მქონე ქვეყნებში ამას უკვე დიდი ხანია შეგუებულნი არიან და, თუ გადარჩენა გვინდა, ჩვენც უნდა შევეგუოთ.

სიტუაციის მთელი ტრაგიზმი იმაშია, რომ ქართველთა არც თუ უმნიშვნელო ნაწილი ამას ვერ ეგუება, რაც, პირველ რიგში, ქართველთა ეთნო-ფსიქოლოგიური, თუ ეთნო-სოციალური თავისებურებებით უნდა იყოს გამოწვეული. და, მაინც, საბაზრო სისტემისადმი შეგუების პირველი გამოვლინება იმაში გამოიხატა, რომ ადამიანები ერთმანეთისადმი თითქმის სრულიად გულგრილები გახდნენ და,რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ეს მათი ურთიერთობების გარეგნულ ფორმებშიც გამოვლინდა (სამწუხაროც სწორედ ეს არის, თორემ, სხვაფრივ, რაოდენ არასასურველიც უნდა იყოს ის,რაც ჩვენს ურთიერთობებთან მიმართებაში ხდება,სამწუხარო რეალობაა, თუ მეტი არაფერი).

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, - ის, რომ ადამიანთა უდიდესი თუ არა,საკმაოდ დიდი ნაწილი, უკვე ისე იქცევა, როგორც საბაზრო სისტემისათვისაა აუცილებელი, რეალურად არსებული ფაქტია და ჩვენ ვერაფერს გავხდებით. უფრო მეტიც, ალბათ არც ჩვენ და არც არავის, არა აქვს უფლება ადამიანს თავს მოახვიოს საკუთარი ხედვა, თუ როგორ უნდა მოიქცეს და,ამდენად, არ იქნება გამართლებული ჩავერიოთ ცალკეული ადამიანის პირად ცხოვრებაში.

სიტუაციის მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს,რომ ამის საშუალება,ან უფლებაც რომ გვქონდეს, მაინც არ უნდა ჩავერიოთ, თუ არ გვინდა ამ ადამიანების ფიზიკურ განადგურებას შევუწყოთ ხელი, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დამარცხდებიან არსებობისთვის იმ დაუნდობელ ბრძოლაში, რასაც საბაზრო სისტემა ჰქვია.

ამასთან დაკავშირებით მინდა ერთ დელიკატურ საკითხს შევეხო, - ქართველთა ერთ სრულიად განსაკუთრებულ თვისებას ,რომლის მსგავსსაც არა მგონია მსოფლიოში ანალოგი მოეძებნებოდეს. ეს გახლავთ, ქართველთა მიერ საუკუნეების მანძილზე აპრობირებული ე.წ. „ერთურთის დახმარების ინსტიტუტი",რომელიც შოკში აგდებდა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში „ერთიანი ძმური ოჯახის" ყველა ერისა თუ ეროვნების წარმომადგენელს.

სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით,ეს გახლავთ - „თქვენი გადახდილიას" ინსტიტუტი, უფრო სწორად ტრადიცია, სრულიად გამაოგნებელი ტრადიცია, მხოლოდ ჩვენთვის და გარკვეულწილად კავკასიელი ერებისთვისაა დამახასიათებელი, რომლის გამოვლინების კვინტენსენციაც ნანადირევის გაყოფის ტრადიციაა.

როდესაც ნადირობა ზოგი გაზულუქებული ადამიანებისთვის გართობი ხოლო ზოგიერთისთვის ოჯახის არსებობის ერთადერთი საშუალებაა, რაღაცას მოინადირებ და შეგხვდება სხვა მონადირე, რომელიც ამ დროისთვის ხელმოცარულია

(რადგან ვერაფერი მოინადირა) და შენ ნანადირევი უნდა გაუყო, ასეთი ტრადიცია უდიდეს აღტაცებას იწვევს და უდიდესი პატივისცემით განგაწყობს იმ ერისადმი, რომელსაც ასეთი ადამიანური ტრადიციის დამკვიდრების უნარი შესწევს.

ახლა კი მოდით ამ საკითხს ასეც შევხედოთ. ჩვენი აზრით, ამ ინსტიტუტის მიზანი არა მხოლოდ მოყვასისადმი დახმარების სრულიად უანგარო სურვილია, რაც თავისთავად უდიდესი პატივისცემით განგაწყობს ასეთი ტრადიციისადმი, არამედ, იმის ჩვენების მცდელობაც, რომ ,,მე კარგად ვარ და დახმარების გაწევა შემიძლია". ამ ტრადიციის ეს ნაწილიც ჩვენი აზრით ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამით, დახმარების მიმღებს, უკვე გარკვეული ვალდებულება აქვს სხვათა წინაშე და, როდესაც მისი მდგომარეობა გამოსწორდება,ისიც უნდა დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილს.

მოდით ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ. საზოგადოდ, ნებისმიერი დახმარება, ადამიანს სხვისადმი დამოკიდებულს ხდის და, აქედან გამომდინარე, ამ დროს მისი,როგორც პიროვნების თავისუფლება, ილახება. ამგვარად, თავისუფალი ადამიანისთვის, რომელიც ღირსეულ სახელმწიფოში ცხოვრობს, დახმარება ისეთივე შეურაცხყოფელი უნდა იყოს, როგორც ადამიანის პირადი თავისუფლების ხელყოფის ნებისმიერი ფორმა.

სწორია თუ არა საკითხისადმი ასეთი მიდგომა და, რამდენად ჯდება იგი ქართველის ფსიქო-ეთნიკურ ტიპში, ეს საკითხის სრულიად სხვა მხარეა და ისიც გვინდა შევნიშნოთ, რომ ,,დახმარების ქვეშ" ჩვენ მხოლოდ მატერიალური (საქონლისა თუ მომსახურების) ფორმით გამოხატულ დახმარებაზე ვსაუბრობთ და, არამც და არამც არ ვგულისხმობთ დახმარებას ე.წ. ,,სულიერების სფეროში".

თუ ჩვენს მიერ ფორმულირებული დასკვნა მისაღებია და, გარდა ამისა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო სისტემისთვის დახმარება საერთოდ გაუგებარი ცნებაა, მაშინ, ცხადია ისმის კითხვა, თუ როგორი უნდა იყოს ამ დროს სახელმწიფოს ფუნქცია.

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდე, მანამდე ერთ საკითხზეც უნდა შევთანხმდეთ.დახმარება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი ადამიანისათვის, ვიმეორებთ, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ შენც, ასე ვთქვათ ,,საბრძოლო ფორმაში" ხარ, ანუ, როცა შენც საზოგადოების სრულუფლებიანი და სრულფასოვანი წევრი ხარ და შეგაქვს შენი წვლილი ერთობლივი საზოგადოებრივი დოვლათის შექმნაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შენც შესაბამისი, ანუ ღირსეული ანაზღაურება გაქვს.

ეს აუცილებელი პირობაა. თუ ეს პირობა არ სრულდება, მაშინ ადამიანი, რომელიც დახმარებას ვერ იღებს, განწირულია ფიზიკური დაღუპვისთვის.

რამდენადაც ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი თავის შრომაში არა თუ ღირსეულ ანაზღაურებას ვერ იღებს, არამედ, ხშირად ეს ანაზღაურება საარსებო მინიმუმზე დაბალია, მაშინ, ვისგან უნდა მიიღოს მან ასეთი დახმარება, თუ არა სახელმწიფოსგან? მითუმეტეს, იმ საყოველთაო გულგრილობის პირობებში, რომელსაც საბაზრო სისტემა ამკვიდრებს.

ამ მიმართებით უახლოესი წარსულიდან აღსანიშნავია გერმანიის გამაერთიანებლის, **ოტტო ფონ ბისმარკის** მიერ გადადგმული რეფორმატორული ნაბიჯები, როდესაც მისი ინიციატივით 1883 წელს მიიღეს კანონი ,,სამედიცინო დაზღვევის შესახებ", 1884 წელს - ,,კანონო უბედური შემთხვევების შესახებ", ხოლო 1889 წელს - ,,კანონი ინვალიდებისა და მოხუცებულებისათვის საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ".

ცხადია,სახელმწიფოს მხრიდან დახმარებათა სისტემის გამოყენება გერმანიიდან არ დაწყებულა. ძველ რომში, რომის მოქალაქეებს პური უფასოდ ურიგდებოდათ, ხოლო კიდევ უფრო, ადრე ძველ საბერძნეთშიც ჰქონდა ადგილი დახმარებების სხვადასხვა სისტემას.

ამდენად, ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთ მიზანს უნდა წარმოადგენდეს სოციალურ დახმარებათა კარგად ორგანიზებული სისტების ჩამოყალიბება.

როგორც ვხედავთ, ერთის მხრივ საბაზრო სისტემა, თავის კლასიკურ ფორმაში, ანუ თავისუფალი საბაზრო ძალების პირობებში, სრულიად გულგრილია საბაზრო სისტემაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ ერთმანეთისადმი ნებისმიერი სახის დახმარებების გამოვლინებისადმი; უფრო მეტიც, ნებისმიერი ასეთი გამოვლენა პრაკტიკულად კონკურენტულ ბრძოლაში მათი დამარცხებისადმი გაწირვას ნიშნავს, ხოლო მეორეს მხრივ, კონკურენტულ ბრძოლაში დამარცხებულთა საშიმშილოდ გაწირვა ვერანაირად ვერ ჯდება ელემენტარულ ადამიანურ მორალში.

ამ წინააღმდეგობის დაძლევა სწორედ სახელმწიფოს პრეროგატივაა. ცხადია, ბუნებრივად ისმის კითხვა: რა საჭიროა ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომელიც ასეთ სავალალო შედეგებს იძლევა. მიუხედავად ასეთი ნეგატივისა, პასუხი მაინც ცალსახაა. **ასეთი სისტემა აუცილებელია არა იმდენად ეკონომიკური ბაზრის სუბიექტებისათვის, რამდენადაც მთლიანად საზოგადოებისთვის, რადგანაც მხოლოდ კონკურენტული გარემო, მთელი თავისი შინაგანი წინააღმდეგობებისა, თუ გარეგნული გამოვლინების მიუღებელი ფორმების მიუხედავად, საზოგადოების განვითარების აუცილებელი საფუძველია.** ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ადამიანი უწინარეს ყოვლისა, ბიოლოგიური არსებაა და მისი ათეულ ათასობით წლების მანძილზე სოციალურად ორგანიზებული გარემოს მიუხედავად, უპირველეს ყოვლისა, თვითგადარჩენის ინსტიქტებით ხელმძღვანელობს, რაც მის არსებაში გენეტიკურადაა ჩადებული.

ამ ფონზე, სწორედაც რომ გასაგებია სახელმწიფოთა ლტოლვა მონოპოლიური სტრუქტურებისადმი, რაც აუცილებლად გახდება ჩვენი შემდგომი განსჯის საგანი.

თამაზ აქუბარდია,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

მოტივაციის მნიშვნელობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საკადრო პოლიტიკაში

ასმათ შამუგია,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

მოტივაცია საქმიანობისკენ საკუთარი თავისა და სხვა პირების წაქეზების ერთგვარი პროცესია პირადი ან სკოლის (აგრეთვე, ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის) სამომავლო, დასახული მიზნების მისაღწევად. ამაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვა.

შეიძლება საგანმანათლებლო ორგანიზაციას ჰქონდეს საუკეთესო სტრუქტურა, მაგრამ არ იყოს ეფექტიანი იმის გამო, რომ სკოლის მენეჯმენტს არ შეუძლია დასაქმებული პეგაგოგიური კადრების სწორი მიმართულებით წაყვანა - დასახული მიზნისკენ. მაშასადამე, ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს მუშაობის კოორდინაცია და დააინტერესოს მასწავლებლები იმუშაონ სათანადო დონეზე. Aასე რომ, სკოლის დირექტორი ფაქტიურად არის პრაქტიკაში მოტივაციის პრინციპების გამტარებელი.

სიტყვა **„მოტივაცია“** წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან „მოტუს” და **მოძრაობას** ნიშნავს. რაც უფრო ნათლადაა მიზანი ჩამოყალიბებული, მით უფრო ადვილია მისი მიღწევა. მაგრამ თუ დავაკვირდებით, უფრო რთულადაა საქმე, როდესაც სხვების მოტივირება გვსურს. მოტივაცია მომდინარეობს სიტყვიდან – მოტივი, რომელიც გულისხმობს რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევ მიზეზს, გადატანითი მნიშვნელობით კი მოსაზრებას, საბუთს რისიმე სასარგებლოდ.

მაშასადამე, მოტივაცია მასწავლებლის ცნობისმოყვარეობისთვის აუცილებელი პირობაა და ხელს უწყობს განათლების, ცოდნის, სასწავლო პროცესის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ტერმინი **„მოტივაცია“** ფსიქოლოგიაში დაახლოებით 100 წლის წინ დამკვიდრდა და არსებობის მანძილზე, ფაქტობრივად, არ შეუცვლია პირვანდელი მნიშვნელობა.

მოტივირებული პედაგოგის გარეშე წარმოუდგენელია სკოლის საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა და ასევე, მასწავლებლების პროფესიული მიღწევების (კვალიფიკაციის, პროფესიული დონის) ამაღლება. რაც უფრო მოტივირებული იქნება განმანათლებელი, მით უფრო წარმატებული იქნება ის სწავლა/სწავლების პროცესში. როდესაც საუბარია სკოლის წინსვლასა და განვითარებაზე, მთელი არსი, რასაკვირველია, მოტივაციაში მდგომარეობს.

მოტივაციის ამაღლებაზე სისტემატური მუშაობა დიდწილად განაპირობებს მაწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე, სასიამოვნოდ და სახალისოდ წარმართვას.

იმისათვის, რომ სკოლამ წარმატებით მიაღწიოს თავის დასახულ მიზნებს, ცხადია, საკმარისი არაა მხოლოდ ორგანიზაციული, ტექნიკური, რესურსული საკითხების გადაწყვეტა და პროფესიონალი პედაგოგიური პერსონალის მოზიდვა, არამედ ყოველივე ამასთან ერთად, აუცილებელია შრომის პროცესის ისე ორგანიზება, რომ ყოველმა დასაქმებულმა მასწავლებელმა მაქსიმალური ძალისხმევა და დაინტერესება გამოავლინოს დასახული ამოცანების მისაღწევად. ისტორია, მეცნიერული კვლევები, პრაქტიკული ცხოვრება და გამოცდილება ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ პედაგოგმა (და ზოგადად, ადამიანმა) მხოლოდ მაშინ შეიძლება მიაღწიოს დასახულ მიზნებს და გამოავლინოს თავისი უნარ-შესაძლებლობები, როცა ის სათანადოდაა მოტივირებული და საამისოდ რეალური სტიმულები გააჩნია.

რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის თითოეულ პედაგოგს მხოლოდ ავუხსნათ ახალი სტრატეგიული მიდგომების არსი და დაგეგმილი მაჩვენებლების მიღწევის მნიშვნელობა სკოლის მომავალი კეთილდღეობისთვის. მიუხედავად ხელმძღვანელის პროპაგანდული ნიჭისა, აგიტაცია, რასაკვირველია, ნაკლებად ახდენს შრომის სტიმულირებას გრძელვადიან პერსპექტივაში. დასაქმებულ პედაგოგიურ

კადრებში თავდადებული შრომის ჟინის გამოწვევისათვის სკოლის მენეჯმენტი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სტიმულების შემუშავებასა და გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ არსებობს მოტივაციის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ნებისმიერი სასწავლო პროცესის დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ.

დასავლური ფსიქოლოგიური სკოლა გამოარჩევს ე.წ. **შინაგან** და **გარეგან** მოტივაციას.

შინაგანი მოტივაცია გულისხმობს, რომ პედაგოგის ქცევა განპირობებულია პიროვნული ფაქტორით, კონკრეტული ქცევის/მისი შედეგების მიმართ შინაგანი ინტერესით.

გარეგანი მოტივაციის დროს მასწავლებლის ქცევა განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით. პედაგოგისათვის კონკრეტული ქცევა/აქტივობა არ არის იმთავითვე საინტერესო, ან სასურველი, თუმცა, იგი ასეთად იქცევა გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ეს ფაქტორებია: **სხვა პირის (კოლეგის, მშობლის და ა.შ.) მიერ შექება, წახალისება/დაჯილდოვება, ან სასჯელის, არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული ქცევა და ა.შ.**

შინაგანი მოტივაცია უფრო ხანგრძლივი და მართვადია, ვიდრე **გარეგანი,** ვინაიდან ეს უკანასკნელი მანამდე არსებობს, სანამ მასწავლებელი კონკრეტულ ჯილდოს და შექებას მიიღებს.

სწორედ მასწავლებლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი საკლასო ოთახში, რამდენად შეძლებს იგი მოსწავლეების დაინტერესებას ისე, რომ მათ სწავლა უპირველეს ამოცანად გაიხადონ. რაც უფრო მეტად მოტივირებულები არიან მოსწავლეები, რასაკვირველია, მით მეტია სწავლის ხარისხი და პირიქით.

მოტივაციის თემაზე ქართველი მეცნიერებიც მუშაობდნენ. ასე მაგალითად, **დიმიტრი უზნაძეს** მიაჩნდა, რომ ნამდვილი სწავლა შესაძლებელია მხოლოდ შემეცნებითი ინტერესის, ცოდნის წყურვილის, მაშასადამე, შინაგანი მოტივაციის პირობებში. იგივე მოსაზრება ჰქონდა ცნობილ ქართველ მკვლევარს **შ. ჩხარტიშვილსაც**. თავის შრომებში, ის ერთმანეთისგან ანსხვავებს **ჰომოგენურ** (შინაგან) და **ჰეტეროგენულ** (გარეგან) მოტივებს, აღნიშნავს, რომ სწორედ **ჰომოგენური მოტივაცია** გულისხმობს სწავლის ობიექტური ღირებულების შეგნებას. **დ. უზნაძე** საუბრობს შემეცნებით ინტერესსა და სწავლის ღირებულების მიმართ გაცნობიერებულ დამოკიდებულებაზე, რაც, შეიძლება ითქვას, რომ უახლოვდება დასავლური ფსიქოლოგიური სკოლის მიერ აღიარებულ შინაგან მოტივაციას.

ამრიგად, **მოტივაცია** არის ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც მიმართავს ქცევას, ყურადღებას პედაგოგისთვის სასურველი მიმართულებით. იგი არ არის თანდაყოლილი, ხასიათდება დინამიურობით და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, ისე გარემო ფაქტორებზე. Mასწავლებელმა, რა თქმა უნდა, ისე უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი და გარემო, რომ მაქსიმალურად ხდებოდეს ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება.

სასწავლო აქტივობები, შეფასების პოლიტიკა და პასუხისმგებლობის განაწილება — მოტივაციასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ელემენტებია. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგმა ეფექტიანად გამოიყენოს ეს ელემენტები მოსწავლეების მოტივაციის ზრდისათვის.

განმანათლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაღვივებასა და განვითარებაზე ორიენტირებული ქცევის ჩამოყალიბებაზე. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მათი წარმატების ხელშეწყობა როგორც სასკოლო გარემოში, ისე ზრდასრულობაში.

პედაგოგი სისტემატურად და გეგმაზომიერად უნდა მუშაობდეს მოტივაციის ამაღლებაზე. ამ ტიპის სამუშაოები მას მიზნობრივად და თანმიმდევრულად უნდა ჰქონდეს დაგეგმილი სასწავლო პროგრამაში;

მასწავლებელმა მოტივაციის ორივე ფორმას უნდა მიმართოს. თუმცა ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ **შინაგანი მოტივაცია** ბევრად უფრო მდგრადია და მოსწავლეების განვითარებას განსაკუთრებით უწყობს ხელს;

მოტივაციის ამაღლებისთვის პედაგოგმა მრავალგვარ სტრატეგიას შეიძლება მიმართოს, მაგრამ ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ასაკობრივი ჯგუფისა და კონკრეტული მოსწავლის ხასიათის თუ მუშაობის სტილის თავისებურებებს.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ **მოტივაცია** ინდივიდუალურია, ანუ, მასწავლებლები განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც მისი აღმძვრელი ფაქტორების, ისე მოტივაციის ხარისხის, სიძლიერის თვალსაზრისით. **მაგალითად, ორი პედაგოგი შეიძლება იყოს ერთნაირად წარმატებული, თუმცა, მათი მოტივაციის წყარო და ხარისხი სრულიად განსხვავებული იყოს ერთმანეთისგან.** მოტივაცია არ არის თანდაყოლილი და უცვლელი, როგორც, მაგალითად, თვალის ფერი. იგი საკმაოდ დინამიურია და მნიშვნელოვნად იცვლება ასაკის მატებასა თუ ადამიანზე მოქმედი გარემო ფაქტორების ზეგავლენით. ის, რაც მასწავლებლისათვის საინტერესო და მოტივაციის აღმძვრელი იყო პედაგოგიური საქმიანობის დასაწყისში, შეიძლება სრულიად უინტერესო იყოს 5 წლის სამუშაო გამოცდილების დაგროვების შემდეგ და პირიქით. ასევე, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს შინაგან მოტივაციას.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოყენებული გარეგანი მოტივაცია თითქმის შეუძლებელს ხდის მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევას.

ერთ სიტუაციაში მასწავლებლის ქცევას შეიძლება წარმართავდეს გარეგანი ფაქტორები, მეორეში კი — შინაგანი.

პედაგოგიური კადრების მოტივირებისთვის, რასაკვირველია, სხვა მეთოდების გამოყენებასთან ერთად, მნიშვნელოვანია სკოლის დირექტორი მიმართავდეს წახალისების ფორმებს. რა თქმა უნდა, თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას აქვს

სათანადო სახსრები, მას შეუძლია მიმართოს მატერიალური (ფინანსური) და მორალური წახალისების მეთოდებს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილებები არ უნდა გამომდინარეობდეს სუბიექტური მოსაზრებებიდან, სასურველია, წინასწარ არსებობდეს და ყველა დაინტერესებული პირისთვის იყოს ხელმისაწვდომი ის კრიტერიუმები, რაც წასახალისებელი პირების გამოვლენას განაპირობებს და ასევე უმჯობესია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იყონ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლები. წინააღმდეგ შემთხვევაში, წახალისებამ, შეიძლება, დისკრიმინაციისა და პიროვნული ფაქტორებით განპირობებული მანიპულირების განცდა გამოიწვიოს.

სამართლიანობისთვის აუცილებლად უნდა ითქვას, რომ პედაგოგიური კადრებისთვის მატერიალური (ფინანსური) წახალისების გარდა, არანაკლებ ეფექტიანია მორალური წახალისების ფორმებიც, ეს შეიძლება იყოს სერტიფიკატების, მადლობის წერილების, მისალოცი ბარათების საზეიმო ვითარებაში გადაცემა, ასევე შეიძლება საერთო სხდომაზე სიტყვიერად და წერილობით, ბრძანებით, პირად საქმეში შეტანით მადლობის გამოცხადება.

ჴპედაგოგების ეკონომიკური სტიმულირებისთვის ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე საჭიროდ მიგვაჩნია:

- **წელიწადში ორჯერ (საშობაო არდადაგების წინ და სასწავლო წლის ბოლოს) მატერიალურად დაჯილდოვდეს სკოლის 10 ყველაზე წარმატებული მასწავლებელი. ამისათვის საჭირო იქნება სკოლის ბიუჯეტიდან გამოიყოს მინიმუმ 1000 ლარი და მასქიმუმ 2000 ლარი;**
- **სკოლამ თავისი პედაგოგებისთვის უნდა გამოაცხადოს სპეციალური კონკურსი ინოვაციური პროექტების შესაქმნელად და განსახორციელებლად, რისთვისაც საკუთარი ბიუჯეტიდან საჭირო გახდება გამოჰყოს 1000 ლარი;**
- **ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის შემაჯამებელ პედაგოგიურ საბჭოზე აუცილებელია წარმატებული პედაგოგების დასახელება, რომლებიც ქმნიან სკოლის იმიჯს (სახეს);**
- **მორალური წახალისების მიზნით სკოლის გამორჩეულ მასწავლებლებს მნიშვნელოვანია გადაეცეთ სიგელები, ასევე ბრძანებით გამოეცხადოთ ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს მადლობა;**

შესრულების ვადები

პროგრამაში მითითებულ ვადებში; ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში; ყოველის სასწავლო წლის ბოლოს; პერიოდულად.

შემსრულებლები – სკოლის მენეჯმენტი, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები, პედსაბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, ნაწილი II, დალაქიშვილი ნ., „მოტივაცია და მოტივაციის ამაღლების საშუალებები“, გვ. 3-15; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ., 2008წ.;
2. ეფექტიანი სწავლება, თეორია და პრაქტიკა, რედაქტორი კუტალაძე ი.; „მოსწავლეთა მოტივაცია,“ გვ. 85-101, გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტი, თბ., 2010წ.;
3. უზნაძე, დ. (2003წ.). „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია,“ თბ.; ჩხარტიშვილი, შ. (1972წ.). „სწავლის მოტივაციური სტრუქტურა. სკოლა და ცხოვრება,“ თბ.;
4. ბარამიძე ნოდარ, „შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1995წ.;
5. ბარამიძე ნოდარ, „შრომის, როგორც ნებისმიერი ქცევის სტრუქტურის შესახებ“, კრ. „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, ბათუმი, 2010წ.;
6. „სკოლის მართვის სახელმძღვანელო“, გვ. 109-110 თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2007წ.;
7. დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის, გოგლიჩიძე ა., კობახიძე მ., ლაცაბიძე გ., მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2010წ.;
8. http://marketer.ge/motivaciis-gazrda;
9. როგორ ვმართოთ თანამშრომლები, UNDP, გვ. 224, თბ., 2008წ.;
10. Маслоу А., Мотивация и личность, 3-е изд, 2008;
11. Theobald, A., M. (2006) Increasing Students´ Motivation: Strategies for Middle and High School Teachers. Corwin Press;
12. Ames, A., C.. (1991). Motivation: What teachers need to know. University of Illinois;
13. Pintrich, R. P. (2003) A motivational science perspective on the role of student motivation in learning and teaching context. Journal of Educational Psychology, vol 95, #4 667-686.

Motivation`s role of Georgian educational process in the staff policy (SUMMARY)

Asmat Shamugia, Postdoctoral student of Sukhumi State University

The estimation policy, which is used by the teachers has more meaning for motivation. The estimation policy means estimation standards, criterions, concrete methods and their frequence using.

In addition to estimation, there is also very important to discuss the encouragement police issue. To the final aim achievement rearrangement each step can, kindles teacher's motivation for the future effective steps realization. To say with another words, small success could cause more stimulation to achieve much more success.

ტურინეტი – ახალი შესაძლებლობები ტურიზმის სფეროში

არც ისე დიდი ხნის წინათ ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც საოჯახო სასტუმრო ვალდებულია ჰქონდეს სალარო აპარატი, თუ მასში არსებული საწოლების რაოდენობა 15-ს აღემატება.

სამწუხაროდ, მთავრობა მხოლოდ დაბეგვრაშია გაწაფული — ამ სფეროს პრობლემებზე და პერსპექტივებზე ისევ და ისევ ევროპელები ზრუნავენ!

პოლონეთის მთავრობის მხარდაჭერით დაფუძნებულმა რეგიონალური განვითარების ქსელმა "რეგნეტი" http://www.regnet.org.ge/ წამოიწყო ახალი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში საოჯახო სასტუმრობის ქსელის განვითარებას. დაფუძნდა შესაბამისი ორგანიზაცია "ტურინეტი". http://turinet.ge/, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალი საოჯახო სასტუმროების შექმნას და ასევე არსებულების გაწევრიანებას ერთიან საინფორმაციო ბაზაში, რაც საშუალებას მისცემს მათ, რომ უფრო ადვილად მოიძიონ კლიენტები.

თუმცა, ამ ორგანიზაციის შექმნა დაიწყო არა უაპელაციო რეკლამით — როგორც ეს ქართველებს სჩვევიათ, არამედ ამ სფეროს პოტენციალის შესწავლით.

კვლევის პროცესს მხარი დაუჭირა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს "SIDA"-ს სახსრებიდან.

გამოკითხულია 300 სასტუმრო-სახლი ან ამ ბიზნესში ჩართვის მსურველი ოჯახი;

პირველ რიგში აღსანიშნავია მსურველთა გენდერული ბალანსი. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ქართველებს ძალიან რცხვენოდათ სტუმრისთვის ფულის გამორთმევა. ამიტომ საოჯახო სასტუმროს მფლობელები უმეტესად მარტოხელა, ან ქვრივი ქალბატონები იყვნენ. ახალი გამოკითხვის მიხედვით კი მსურველთა მხოლოდ 53% არის ქალბატონი, 47% კი მამაკაცია და მათ უკვე გადალახული აქვთ უფასო სტუმართმოყვარეობის „კომპლექსი". თუმცა, საკმაოდ სუსტია ასეთი სასტუმრების საინფორმაციო ბაზა.

გამოკითხულთა მხოლოდ 33%-ს აქვს ვებ-გვერდი, „ფეისბუქ" გვერდი ან ინფორმაცია რომელიმე ტურისტულ ვებ-გვერდზე; 66%-ს არ აქვს არანაირი ურთიერთობა ტურისტულ სააგენტოებთან. მათ რეკლამას მხოლოდ ადრინდელი სტუმრები უწევენ თავიანთ ნაცნობ-მეგობრებში. სასტუმროს მფლობელთა დიდ ნაწილს არსებული კანონმდებლობა და საგადასახადო ორგანოები არც ისე ძალიან აწუხებენ. გამოკითხულთა მხოლოდ 3% მა გამოთქვა აზრი, რომ მათი სფეროს შესაბამისი კანონმდებლობა არის ცუდი. 41%-ის აზრით კანონმდებლობა ძალიან კარგია, 23% -ის აზრით ნორმალურია, 33%-მა კი შეფასებაზე უარი თქვა.

გამოკითხული სასტუმრო-სახლის მეპატრონეები სტუმრებს სთავაზობენ მომსახურეობის ფართო სპექტრს:

ორჯერადი, ან სამჯერადი კვება, ნადირობა, თევზაობა, ცხენით გასეირნება, ტურების მოწყობა, ბილიარდის მაგიდა, ავტომობილით მომსახურება, სანაოსნო ტური, აეროპორტში დახვედრა, საკონფერენციო დარბაზი, ინტერნეტი, მანიკურ-პედიკური, მასაჟი, მაგიდის ჩოგბურთი, სადღესასწაულო სუფრა მუსიკის თანხლებით, კოფე ბრეიკების ორგანიზება, გიდის მომსახურება, პიკნიკი, ველოსიპედებით გასეირნება, პარაპლანით ფრენა, სუვენირები, აუზი, ბარი, ჰამაკი და სკვერი ეზოში, არყის გამოხდის პროცესზე დასწრება, სამკურნალო მცენარეების შეგროვება, ტყეში სოკოს კრეფა, ტრადიციული ქართული კუთხე ან ეთნოგრაფიული ეზო და ა.შ.

ასევე მზად არიან რომ სტუმრები ჩართონ სხვადასხვა საოჯახო საქმეებში,როგორებიცა:

ტრადიციული კერძების დამზადება: ჩურჩხელის ამოვლება, ხინკალის მოხვევა, ხაჭაპურის და ბაჟეს გაკეთება, მწვადის მაყალზე შეწვა, პურის ცხობა თონეში, ქვევრიდან ღვინის ამოღება, მებაღეობაში დახმარება, ყველის ამოყვანა, შეშის დაჩეხვა, ვაზის მოვლა, სხვადასხვა ხილის კრეფა -მათ შორის ყურძნის, თხილის, დაიხმარებდა თიბვაში, ლუდის მოხარშვა.

ზოგიერთი სასტუმროს მფლობელი მზად არის, რომ სტუმრებს შეასწავლოს ქართული მუსიკა, ქსოვა და ქარგვა.

კითხვაზე **თუ რა სახის დახმარებას ისურვებდნენ ფულადი დახმარების გარდა, გამოკითხულთა დაახლოებით 70% ამბობს რომ სურს რეკლამა, ქართული ტურისტული პოტენციალის მეტი პოპულარიზაცია, ტრენინგები და ექსპერტთა კონსულტაცია.** გარდა ამისა, სააგენტოებთან კავშირების დამყარება, დაბალპროცენტიან სესხი, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინფორმაციული მხარდაჭერა (კანონები, ბუღალტერია, მენეჯმენტი), ფიქსირებული ტარიფები, ტურისტული ღირსშესანიშნაობების აღწერილობა და ნიშნები, სხვა სასტუმროების მფლობელებთან შეხვედრა და გამოცდილების გაზიარება.

თუმცა, სასტუმრო სახლის მოწყობა არც ისე ადვილია, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს.

არსებობენ საკმაოდ ბევრი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან გააკეთონ სასტუმრო-სახლი. ასეთებია: არასაკმარისი მატერიალური ბაზა, გამოუცდელობა, მენეჯმენტის არცოდნა, ტურისტების სიმცირე, წყლის მრიცხველის აუცილებლობა, არაინფორმირებულობა, სესხის მიღების პრობლემა, საჭირო ინფრასტრუქტურის უქონლობა, საჭირო კავშირების არქონა, მაღალი კომუნალური და საშემოსავლო გადასახადები, საშიშროება მოთხოვნის სიმცირეზე და ა.შ.

მაგრამ ამ პრობლემების გადაჭრა უფრო ადვილი იქნება სისტემური მხარდაჭერის საშუალებით.

ასე რომ თუ ვინმეს ექნება სურვილი გახსნას საოჯახო სასტუმრო, შეუძლია მიმართოს "ტურინეტს".

თბილისი 0112, საქართველო, თამარ მეფის გამზ. № 18
ტელ.: +995 599 70 93 88 კობა არაბული; +995 555 94 93 21 მარიამ მერაბიშვილი +995 32 294 53

როგორ იკერება საქართველოში საარჩევნო „ბიბლია“?

იზა ბარდაველიძე,
ანალიტიკოსი

“კანონის პატივისცემას მოაქვს ნდობა” — ცესკოს ამ ლოზუნგით დასრულდა საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. საინტერესოა, ვის მოუწოდებდა ცესკო კანონებისადმი პატივისცემას — ხალხს, თუ საკუთარ თავს, ან როგორი კანონებისადმი პატივისცემა მოეთხოვებოდათ მიზნობრივ ჯგუფებს?

მიმართვის ობიექტები აქ უცნობია, ისევე, როგორც მთავარი დაპირების არსია გაუგებარი. ნდობა, პოლიტიკური ისტებლიშმენტის მნიშნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ხალხისთვის მოტივაცია. სახელმწიფოს ინტერესების იგნორირებით, კერძო ინტერესებზე მორგებული კანონმდებლობა თუ ამომრჩევლის პატივისცემას ვერ იწვევს, ნდობის საკითხიც სათუოა. ვის უნდა ვენდოთ, ან რატომ უნდა ვენდოთ? — ეს სლოგანი ისეთივე ბუნდოვანია, როგორც ჩვენი “საამაყო” საარჩევნი კოდექსი.

განვლილ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე თუ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი იყო საარჩევნო თემატიკა და კანონის ნაკლოვანებათა გამოსარკვევად აქტიურად წარმოებდა მონიტორინგი, კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად, არაერთი რეკომენდაცია და შენიშვნა იქნა შეთავაზებული საარჩევნო ადმინისტრაციისა თუ საკანონმდებლო ორგანოს მისამართით. სხვა საკითხია, გაითვალისწინეს თუ არა, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების ჰიპერაქტიურობის მაჩვენებელი ნამდვილად გამოვლინდა. შედეგად ყველანი ვეზიარეთ დემოკრატიის იმ პროცესებს, როცა სახელმწიფო გადატრიალებისა და რევოლუციების გარეშე, მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის გზით იცვლება პოლიტიკური რეჟიმი. რა თქმა უნდა, იყო გაყალბებებიც, ნების განხორციელებისთვის ხელის შეშლისა და დაშინების არაერთი ფაქტი, რომელიც ზოგჯერ გასაჩივრდა, ზოგჯერ არა, მაგრამ, მთავარი, ის იყო, დარღვევებმა სერიოზული გავლენა ვერ იქონიეს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე.

სხვათა შორის, იგი არა მარტო კონკრეტული პოლიტიკური პარტიის, ან ბლოკის წარმატებად უნდა მივიღოთ, არამედ, როგორც შემდგარი სახელმწიფოს რეზულტატი, სადაც მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და ძალთა კონსოლიდაციის ისეთი პრეცენდეტი დაფიქსირდა, როცა ხალხმაც საკუთარი დევიზით დაიწყო მოქმედება: “ჩვენ ვართ ძალა” და მართლაც აჩვენეს თავისი რეალური ძალა.

ახალი ხელისუფლების მოსვლას, ყველანი საარჩევნო გარაემოს გაუმჯობესების იმედით შევხვდით. პასუხად, 2013 წლის 7 მარტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის N 15/3 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ინტერფრაქციული ჯგუფი. დეპუტატების 18 კაციან შემადგენლობას (“ქართული ოცნება” — 10, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” — 5 უპარტიო, დამოუკიდებელი დეპუტატები — 2), რომელსაც ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილი ჩაუდგა სათავეში, დაევალა საარჩევნო კანონპროექტების მომზადება. სხვადასხვა სტრუქტურებიდან, მათ შორის: ცესკოს, საარჩევნო სისტემების გავითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის, “საიას”, “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების” (ISFED), ‘საერთაშორისო გამჭირვალობის” (TI), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების (OSCE), ადამიანის უფლებების (ODIHR), USAID-ის და IFES-ის მიერ ინტერფრაქციულ ჯგუფში წარდგენილი რეკომენდაციების (მიწოდება მოხდა დადგენილი წესის დარღვევით, წინადადებებს არ ჰქონდათ კანონპროექტის სახე) მიხედვით ყველაზე აქტუალური აღმოჩნდა: ამომრჩეველთა სიების, ამომრჩევლის მოსყიდვის, პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების, წინასაარჩევნი რეკლამისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვის საკითხები. ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც მაისის თვის დასასრულამდე, პარლამენტში აპირებდა მინიმუმ ექვსი კანონპროექტის ინიცირებას, უკვე სექტემბერი სრულდება და მათი ინიცირებისა და განხილვის პროცედურები ძლივსღა მოესწრო.

დღეის მდგომარეობით, ექვსივე კანონპროექტი ძალშია შესული და 2013 წლის საპარლამენტო არჩევნების დადგომას ელოდება.

პირველი ცვლილება (**დოკუმენტი: N668-IIს; მიღებულია: 30.05.2013; ძალაშია: 24.06.2013**; წყარო: www.parliament.ge, www.matsne.gov.ge, www.gss.ge,), შეეხება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატის ხელშეუხებლობის საკითხებს; მეორე (**დოკუმენტი: N834-რს; მიღებულია: 12.07.2013; ძალაშია: 25.07.2013**; წყარო: www.parliament.ge, www.matsne.gov.ge, www.gss.ge); აზუსტებს მაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისთვის საეთერო დროის გამოყენების წესს; ხოლო, მესამე ცვლილებით (**დოკუმენტი: N 878-რს; მიღებულია: 27.07.2013; ძალაშია:07.08.2013**; წყარო:www.parliament.ge, www.matsne.gov.ge, www.gss.ge) შემოდის წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) გამართვის, საბიუჯეტო თანხებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების ახალი წესები. რაც შეეხება პარლამენტის წევრის, **ზაქარია ქუცნაშვილის** ბოლო საკანონმდებლო ინიციატივებს, საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩენო კოდექსი" ცვლილებების შეტანის შესახებ, ყველანი დაჩქარებული წესით მიიღეს. პირველი კანონპროექტი (7-3/100; 06.06.2013**; დოკუმენტი: N864-რს; მიღებულია: 25.07.2013; ძალაშია: 19.08.2013;** წყარო: www.parliament.ge, www.matsne.ge, www.gss.ge) შეეხო 2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნებისა და თბილისის მერის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების საკითხს — შემოღებულ იქნა ბიომეტრიული რეგისტრაცია, რაც ნიშნავს, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ძირითად მონაცემებთან ერთად ბიომეტრიული ფოტოსურათის განთავსების აუცილებლობას. ხოლი ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისთვის ცესკოს ეხსნება კანონით დადგენილი პასუხსმგებლობის ტვირთი და საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოზე გადადის. მეორე ცვლილებით (07-3/126; 11.07.2013; **დოკუმენტი: N877; მიღებულია 27.07.2013; ძალაშია: 20.08.2013**; წყარო: www.parliament.ge, www.matsne.gov.ge, www.gss.ge) ზუსტდება პარტიების წარმომადგენლების დანიშვნის შესახებ განცხადებაზე ხელის მომწერი უფლებამოსილი პირები. ხოლო, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად გაიზრდება საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება. ამათგან, ზოგიერთს, საარჩევნო კამპანიისთვის გაწეული ხარჯების დასაფარავად გამოეყოფა 1000 000 ლარი. ამავე ცვლილებების თნახმად, პარტიებს, რომლებსაც არა აქვთ ცესკოს რეგისტრაცია შესაძლებლობა ექმნებათ წარმოადგინონ საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი. ამასთან, ძალაში შემოდის წლის ყველაზე არაორდინალური ცვლილება, რომელიც სპეცუბნების თემატიკას უკავშირდება და კრძალავს სამხედრო მოსამსახურეთა სიების საჯაროობას. მესამე ცვლილება (07-3/130; 18,07.2013 **დოკუმენტი: N901; მიღებულია: 29.07.2013; ძალაშია: 20.08.2013**; წყარო: www.parliament.ge, www.matsne.gov.ge, www.gss.ge), აზუსტებს სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნის წესს, რომლის მიხედვით, სარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას არანაკლებ 20 და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისთვის. წარმოდგენილი ცვლილების ფორმატში, ვიხილეთ ერთგვარი სარეკლამო ტრიუკიც — **ამომრჩეველი, რომელიც მოხსნეს რეგისტრაციიდან, ან რომლის რეგისტრაცია ძალადაკარგულადაა გამოცხადებული, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ, იღებს უფასო ელექტრონულ პირადობის მოწმობებს, ამასთან, თავისუფლდება ჩადენილი სამართალდარღვევისთვის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 185-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობისგან (საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისთვის დადგენილი წესის დარღვევით ცხოვრება გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ლარის ოდენობით).**

გარდა ამისა, ინტერფრაქციულ ჯგუფთან შეჯერების საფუძველზე დამტკიცდა ორი უმთავრესი კანონპროექტი (I. 07-3/131; 18.07.2013; **დოკუმენტი: N900-რს; მიღებულია: 29.07.2013** და II. 07-3/140 30.07.2013; **დოკუმენტი: N923-რს; მიღებულია: 7.08.2013**; წყარო: www.parliament.ge, www.matsne.gov.ge www.gss.ge) "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, ზუსტდება პარტიების შემომწირველთა ვინაობა და შემოწირულებების მიღების წესი. **ახალი რეგულაციებით იურიდიულ პირს უბრუნდება შემომწირველის სტატუსი. ხოლო პარტიის მიერ იურიდიული პირისგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა, წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120 000 ლარს. ახალი წესებით მცირდება საჯარიმო თანხების ოდენობა. პარტიების მიერ კანონმდებლობით აკრძალული შემოწირულებების/საწევრო შენატანების მიღების ან დამალვის შემთხვევაში აკრძალული შემონატანი სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება ხუთმაგი ოდენობის ნაცვლად, ორმაგი ოდენობით. ამავე კანონპროექტით, პარტიებს ეძლევათ უფლება კომერციული ბანკებიდან მხოლოდ ერთხელ მიიღონ ერთი მილიონი ლარის ოდენობის კრედიტი ერთი წლის განმავლობაში. შემოდის სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსების ახალი მოდელი — ამიერიდან, ბიუჯეტის თანხები ეძლევათ პარტიებს, ვისაც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გადალახული აქვთ, ნაცვლად 4%-იანი ბარიერისა 3%, ხოლო დაფინანსებაზე დანამატის სახით 30% მიეცემათ**

პარტიებს, თუ სიებში 30%-ით წარმოადგენენ ქალებს. მეორე შემოთავაზებული კანონპროექტით პარტიების საბაზო დაფინანსების ოდენობა იზრდება. კერძოდ, 14 კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი 150 000 ლარის ნაცვლად მიიღებს 300 000 ლარს, ხოლო პარტია, რომელიც საპარლამენტო არჩევნების დროს რეგისტრირებული იყო ცესკოში და პარლამენტში შექმნის საპარლამენტო ფრაქციას, დამატებითი ანაზღაურების სახით იღებს 300 000 ლარს. ამასთან, ორმაგდება არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, ან საარჩევნო ბლოკის საბაზო დაფინანსება, თუ ბოლო არჩევნებში მიიღო მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ექვსი და მეტი პროცენტი, ხოლო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე 7 საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტი, რომელმაც ვერ გადალახა დაწესებული ბარიერი, ერთჯერადი სახით მიიღებს საბაზისო დაფინანსების ნახევარს, ანუ 150 000 ლარის ოდენობით. საბოლოო ჯამში, საპრეზიდენტო არჩევნების წინ უნდა ველოდოთ თვრამეტი პოლიტიკური პარტიის დაფინანსებას. სხვათაშორის, ამ კანონპროექტმა, პარლამენტის სრული შემადგენლობის მოიწონება დაიმსახურა. შენიშვნები, მხოლოდ საკანონმდებლო ნორმების ტექნიკურ დახვეწას დაუკავშირდა და ისიც ძალიან მწირი რაოდენობით იყო წარმოდგენილი. ალბათ, საპარლამენტო სესიების ისტორიაში ასეთი ერთსულოვნება დიდი ხანია არ ყოფილა, ხოლო განმარტებითი ბარათის მიხედვით, რომელიც თან ერთვოდა ორგანული კანონპროექტს, მიზნებში დასახელებული იყო მრავალპარტიული სისტემის ხელშეწყობის აუცილებლობა.

კარგია, როცა კანონმდებლები პოლიტიკური პარტიების გაძლიერებაზე ფიქრობენ, მაგრამ არა ნაკლებ კარგი იქნებოდა ხალხის გაძლიერებაზეც ეფიქრათ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასეთ ხელგაშლილობას ეწევიან? როდესაც ძალაში შემოდის კანონის ამკრძალავი ნორმა და არჩევნებამდე 60 დღით ადრე, იზღუდება იმგვარი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება, რომელიც ამომრჩეველს უწესებს რაიმე სახის ფულად, ან არაფულად შეღავათს (ვაუჩერების გაცემა, შემწეობების, პენსიების, და საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით დამტკიცებული სხვა სოციალური დახმარების და შეღავათების ზრდა) ან კიდევ, თუ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, მიმდინარეობს ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც მანამდე არ ყოფილა ბიუჯეტით გათვალისწინებული, ამ წესების დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხარჯების შეჩერების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საინტერესოა, ამ ფორმით დადგენილი რეგულირება რატომ არ ვრცელდება პოლიტიკური პარტიების მისამართით, არის ეს, საბიუჯეტო სახსრების მისაღები რგულირება, თუ პოლიტიკური კორუფციის მაგალითი? საქართველოს პარლამენტის წინასაარჩევნო ხეგაშლილობის ამგვარ გამოვლინებებს შეუძლებელია ეჭვით არ შეხედო. რეალობა ისე გამოიყურება, თითქოს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პრობლემა, მარტო პარტიების დაფინანსებაში მდგომარეობს. სამწუხაროდ, შემოთავაზებულმა ცვლილებებმა ჩვენი მოლოდინები ვერ გაამართლა. აი, მაგალითად ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძლვის საკითხი გავიხსენოთ, რომელიც ლამის ჩვენი საარჩევნო კოდექსის აქილევსის ქუსლად იქცა, პრობლემა კი არსებითად არ გადაწყვეტილა. საჯარო მოსამსახურე წინასაარჩევნო აგიტაციაში სამუშაო საათების განმავლობაში ჩაებმება თუ სამუშაო საათების შემდეგ ეს ცვლილება დიდი პროგრესული მოვლენა არ გახლავთ, მისაღებია, რომ კანონით დაშვებული სამართლებრივი შეზღუდვა ყველა საჯარო მოხელეზე თანაბრად გავრცელდეს. მეტიც, მათი ოჯახის წევრებზეც უნდა შემოიღონ ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, ვინაიდან, დაიწყება თუ არა საარჩევნო კამპანია, ისინიც უკვე ემზადებიან — დედაბუდიანად მოთავსდნენ საარჩევნო კომისიებში. **ქვეყანა, სადაც ამდენი უფუნქციო ადამიანია და არც შრომითი რესურსების ნაკლებობაა, ადმინისტრაციული კადრების შერჩევა სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. ხოლი სამუშაო საათების მიხედვით შემოღებული რეგულაცია, უფრო პრობლებული საჩივრების წინაპირობაა, ვიდრე საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ტენდენცია.**

კანონის ნაკლოვანებათა შესახებ, საერთოდ, ბევრ დეტალზე შეიძლება შევაჩეროთ ყურადღება, მაგრამ უმჯობესია ამოვირჩიოთ ის საკითხები, რომლებზეც ნაკლები ინფორმაცია არსებობს. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ცეკოში რეგისტრირებული პარტია ან საარჩევნო ბლოკი საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად იღებს სახელმწიფო დაფინანსებას. ცესკო ამ თანხებს დანიშნულებისამებრ მიმართავს იმ კვალიფიციურ სუბიექტებზე, რომლებიც თავის მხრივ უფლებამოსილინი არიან გაანაწილონ წარმომადგენლებზე, მაგრამ გასულმა საპარლამენტო არჩევნებმა დაგვანახეს, პარტიების მიერ მიღებული თანხები ხშირ შემთხვევაში ადრესატამდე ვერ აღწევს და არც რაიმე სხვა კონტროლის მექანიზმი არსებობს, მიწოდების ფაქტები დავადასტუროთ. ახალი საკანონმდებილო ინიციატივა, რომელიც ზრდის წარმომადგენლების დაფინანსებას (საოლქოებში-150ლ, უბნებში-100ლ) და არ აწესებს მისი გაცემის ვალდებულებებს, გარკვეულ ეჭვებს შეიცავს, ხომ არ ყალიბდება პარტიული დაფინანსების ისეთი არხი, რომელსაც ვერავინ გააკონტროლებს?!

ქვეყანა, სადაც 73 ოლქი და 3700 უბანია, პლუს თავისი დამატებითი სპეცუბნებით, კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად ბიუჯეტიდან ერთი პარტიისთვის გამოიყოფილი თანხა შეადგენს მინიმუმ 761 900 ლარს,



ხოლო კომისიის შვიდი პარტიისათვის ეს მაჩვენებელი მიაღწევს 5 333 300 ლარს, რაც მცირე თანხა ნამდვილად არ არის.

როგორც აღინიშნა, ორგანული კანონპროექტებით შემოტანილი ცვლილებების შედეგად, ძირითადი აქცენტები კეთდება პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე და თითქმის არაფერია ნათქვამი არჩევნების გაყალბების პრევენციულ ზომებზე. ვინაიდან საქართველოში არჩევნების გაყალბებაზე საუბარი, მხოლოდ, არჩევნების დასრულების შემდეგ იწყება. კარგად დაფინანსებული საარჩევნო კამპანიის მიუხედავად, როცა შეგიძლია გასწიო დიდი ხარჯები და მაინც იცი, რომ არჩევნები გაყალბებულია, იბადება კითხვა: რა არის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლის მიზანი?

საპარლამენტო არჩევნებში, გამოვლენილმა ხარვეზებმა ამომრჩეველთა სიების შედგენის ახალი წესის აუცილებლობა შემოიტანა. იმ ვითარებაში, ხოლო ამომრჩეველთა სიებში შეყვანილი მონაცემების სისწორეზე არავის უნდოდა პასუხისმგებლობა აეღო — არც ცესკოს და არც, მით უმეტეს, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას 2013 წლიდან ამომრჩეველთა სიების ფორმირებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაეცა. ხოლო სპეცსია, რომელიც დგება სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურის სახედრო მოსამსახურეებისგან, ახალი შემუშავებული ცვლილებათა პაკეტით მისი საჯაროობა აიკრძალა. უფრო ზუსტად, აიკრძალა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობა ოპერაციებში მონაწილე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პერსონალის სტასუსით წარგზავნილ პირთა, საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის "დ" ქვეპუნქტითა და 32-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული სიების გასაჯაროება, (გამოქვეყნება, ასლების გადაღება, გაცემა და შესაბამის უბნებში მათი ფოტოვიდეგადაღება). ხოლო აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სიები დგება: საქართველოს თავდაცვის, იუსტიციის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და შინაგან საქმეთა სამინისტოების, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების სამხედრო მოსამსახურეებისგან. კანონპროექტზე დართული განმარტებით ბარათის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა სიების საჯაროობის აკრძალვა მათი უსაფრთხოების ზომებს დაუკავშირდა, ვინაიდან, 2013 წლის 6 ივნისის ტრაგიკულმა მოვლენებმა (ავღანეთში ქართველების სამხედრო ბაზაზე განხორციელებულ ტერაქტი) ამ სიების საჯაროობის აკრძალვის აუცილებლობა შემოიტანა. მეორე მხვრივ სამხედრო მოსამსახურეთა საარჩევნო სიების საჯაროოების გაუქმება შეიძლება აიხსნას არჩევნების გაყალბების პერსპექტივით, ვინაიდან, სიებზე საჯაროობის აკრძალვა პარალელურად ნიშნავს მათი იდენტიფიკაციის აკრძალვასაც, ხოლო არაიდენტიფიცირებილი ამომრჩეველი არის იგივე პოტენციური გამყალბებელი. შესაბამისად, ეს ფაქტორი, შეიძლება, ძალიან პრაგმატულად იქნას გამოყენებული საპარლამენტო არჩევნებისთვის — დავუშვათ, ზედმეტი სპეცუბნების შექმნით, სამხედრო კარუსელების მოწყობით და ა.შ. ისმება ლოგიკური კითხვა: რას ვაკეთებთ, იქმნება ქვეყანაში სამხედრო მოსამსახურეთა უსაფრთხოების გარანტები თუ იხვეწება არჩევნების გაყალბების "ნაციონალური" მოდელი?!

ცესკომ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის წარმოადგინა სლოგანი: **"პრეცედენტები ქმნის ტრადიციას"**, პრეცედენტები უკვე სახეზეა. ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ, როგორი ტრადიცების შექმნას აპირებენ!